# საქართველოს რესპუბლიკა


დაარსებულია 1918 წელს.


შაბათი, 11 ოქტომბერი, 2008 წელი.

№ 192 (6050)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## დედაუნივერსიტეტი – 90



მაინც სულ სხვაა უნივერსიტეტი – ასე იწყებდა ქართული მეცნიერების სინდისი ივანე ჯავახიშვილი თავის ნამუშაკევ უნივერსიტეტზე საუბარს. მართლაც რომ ასეა, დიდი ფაზისის, გაენათის და იყალთოს მემკვიდრე დედასასწავლებელი იყო, არის და დარჩება ქართული ცნობიერების, ეროვნულობის, სულიერების წმინდა ტაძრად.

უნივერსიტეტს 90 წელიწადი შეუსრულდა. გუშინ მადლიერმა შთამომავლობამ უნივერსიტეტის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი ყვავილებით შეამკო, საიუბილეო გამოფენა მოაწყო, საღამოს კი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში დიდი საიუბილეო საღამო გამართა...

დღეს, საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ასოციაცია დაფუძნდება. მისი მთავარი დანიშნულება დედაუნივერსიტეტის აღორძინება იქნება.

## ნატოს მაგივრად ბრიუსელის ბიძიას დეპოში!..



3-4

## მწარე სიმართლე საქართველოსთვის

Süddeutsche Zeitung

8

## აბი ვარჯიშის ნაცვლად

11





## ადვოკატები პროკურორების პასუხისგებაში მიცემას მოითხოვენ

4

6-7

- სატელევიზიო ნოსტალგია;
- მისი კუნძული;
- ქართულ ჯარზე სხვადასხვა დროს თქმული

## სარკოზი-მედვედევის შეთანხმება: ძალა აღმართს ხნავს

2 3



ინფორმაცია

## კუშნერი ტყვიავურმა ამბებმა შეძრა



საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი გორის რაიონის იმ სოფლების მონახულებას აპირებს, რომლებიც რუსული აგრესიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა.

ბერნარ კუშნერი უკვე იმყოფებოდა კარალეთსა და ტყვიავში, შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას, მივიდა პოლიციის განყოფილებაში.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ქართველმა პოლიციელებმა განუცხადეს, რომ რუსმა სამხედროებმა თითქმის ყველაფერი გაანადგურეს.

ამის შემდეგ კუშნერი შეჩერდა ერთ-ერთ უბანში, სადაც სახლების უმრავლესობა დაბომბილია.

ერთ-ერთმა მცხოვრებმა თამარ მერებაშვილმა ფრანგ მინისტრს უთხრა, რომ აგრესიის დროს ერთი დღითაც არ დაუტოვებია სოფელი. დაბომბვის შემდეგ კი, ტყვიავში შემოვიდნენ ოსები და რუსები. ისინი მოსახლეობასთან მიდიოდნენ, ითხოვდნენ საკვებსა და სასმელს. მისივე თქმით, იგი 90-იან წლებში ცხინვალიდან დევნილია და მზად არის, უკან დაბრუნდეს.

ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ კუშნერმა განაცხადა, რომ ტყვიავში ძალიან შემზარავი და ბანალური ამბები მოისმინა.

— ეს ძალიან ცუდი ისტორიებია, მაგრამ მე მინდა გითხრათ, რომ მთელი ევროპა თქვენს გვერდით არის, — განაცხადა ბერნარ კუშნერმა.

## რაღაი სოლანა კმაყოფილია, ე. ი. ყველაფერი კარგადაა

ევროკავშირის წარმომადგენელმა ხავიერ სოლანამ კმაყოფილება ვერ დამალა საქართველოს ტერიტორიიდან, კერძოდ უსაფრთხოების ზონიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანის გამო, — იუწყება „ნეზავისიმაია გაზეტა“.



—ევროკავშირის სადამკვირებლო მისია რეგიონში თავის ფუნქციებს ასრულებს. მისია შეეცდება, ადგილზე განმუხტოს დაძაბულობა, ასევე, მხარეებს დაეხმარება კონტაქტის დამყარებაში, შეეცდება მათ შორის ნდობის აღდგენას, რათა კრიზისი მშვიდობიანი გზით დარეგულირდეს, — განაცხადა სოლანამ.

იგი დარწმუნებულია, რომ დამკვირვებლები არ შეეჯახებიან უსაფრთხოების საკითხებში სერიოზულ პრობლემებს.

ამასთან, სოლანამ განაცხადა, რომ დევნილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხი ჯერ დასრულებული არ არის.

## გაგრძელდა გაეროს მისიის მანდატი

საქართველოში გაეროს მისიის მანდატი 4 თვით გაგრძელდა.

ეს გადაწყვეტილება გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო. გაეროს რეზოლუციის ტექსტში აღნიშნულია, რომ გაეროს მისიის მანდატის ახალი ვადა 15 თებერვლამდე განისაზღვრა. ამის თაობაზე ინფორმაციას გაეროს ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

აშშ-ს მუდმივი წარმომადგენელი გაეროში ზალმაი ხალილზადე იმედოვნებს, რომ ამ 4 თვის განმავლობაში შესაძლებელი იქნება განისაზღვროს გაეროს მომავალი როლი საქართველოში. ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკება 15 ოქტომბერს ჟენევაში დაიწყება.

რუსეთის დაჟინებული მოთხოვნის თანახმად, რეზოლუციაში უკვე აღარ არის აღნიშნული, რომ ეს ოპერაცია არის გაეროს მისია საქართველოში.

## ვის დარჩება კავკასია?

კავკასიაში აშშ და რუსეთი მეტოქეები არ არიან. „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ განაცხადა.

— ვერ ვიტყოდი, რომ მეტოქეები ვართ. ჩვენ სტრატეგიული ინტერესები გვაქვს, რომლებსაც ვიზიარებთ კავკასიაში ჩვენს პარტნიორებთან. მიმაჩნია, რომ რუსეთი ყველა ამ ინტერესის წინააღმდეგ არ გამოდის, მხედველობაში მაქვს სტაბილურობა სამხრეთ კავკასიაში. დემოკრატიის ზრდა ეს არ არის რუსეთის წინააღმდეგ, რადგან საუკუნეების განმავლობაში რუსეთი თავის სამხრეთ საზღვრებზე სტაბილურობის ჩამოყალიბების გზებს ეძებს, — აღნიშნა ბრაიზამ.

— მიგვაჩნია, რომ თურქეთს კავკასიაში პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია. მაგალითად, თურქეთმა უკვე შეუწყო ხელი კავკასიაში მილსადენების განვითარებას. არ ვიცით, რა იგულისხმება სტაბილურობის პლატფორმის გეგმაში, რომელიც თურქეთსაც მოიცავს, რუსეთსაც და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს. თუ თურქეთს პოზიტიური წვლილის განხორციელება შეუძლია, ჩვენ ამის მომხრენი ვართ, — აღნიშნა მეთიუ ბრაიზამ.

## რუსეთმა მთელი მსოფლიოს ტერორისტები შეაიარაღა, უკრაინას კი...

ნატოში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა დიმიტრი როგოზინმა მოსაზრება გამოთქვა უკრაინის პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის ფაქტის გამო, — იუწყება „ნიუს.რუ“.



— ვიქტორ იუშჩენკომ მოახდინა საპარლამენტო კრიზისის პროვოცირება და უმაღლესი რადას დათხოვნა მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა, რომ ეშინია პარლამენტის კომისიის დასკვნების, რომელიც უკრაინის მიერ საზღვარგარეთ იარაღის გაყიდვის ფაქტს უკავშირდება, — იუწყება სააგენტო „ინტერფაქსი“.

მისი თქმით, ამაში დღეს ეჭვი არა მხოლოდ მას ეპარება, არამედ კიდევ ბევრს, კერძოდ კი, ბრიუსელში.

შეგახსენებთ, რუსეთმა უკრაინა საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაში დაადანაშაულა.

როგორც დიმიტრი როგოზინმა აღნიშნა, უკრაინიდან იარაღის გაყიდვა მხოლოდ პრეზიდენტის პირადი მითითების საფუძველზე ხორციელდება.

## აგრესორებმა კარალეთში ოცდაცხრა სახლი გადაწვეს

რუსული აგრესიის პერიოდში სოფელ კარალეთში 29 სახლი დაიწვა, ხოლო ერთი დაბომბვის შედეგად მთლიანად დაინგრა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა განაცხადეს.

როგორც ისინი ამბობენ, რუს სამხედროებზე მეტად, მოსახლეობას ოსები, ჩეჩნები და კაზაკები აწიოკებდნენ.

— სოფელი მაშინ დავტოვეთ, როდესაც დაბომბვა დაიწყო.



სახლში მხოლოდ ოჯახის უფროსი გურამ თედლიშვილი დარჩა. შემოვიდნენ ოსები, გაძარცვეს სახლი, ორი ავტომობილი წაგვართვეს, ამის შემედგ კი სახლს ცეცხლი წაუკიდეს, — განაცხადა კარალეთის მცხოვრებმა ლამარა თედლიშვილმა.

თედლიშვილების სახლში ცხოვრება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ისინი დაბრუნების შემდეგ ღამეს მეზობლებთან ათევენ.

როგორც თედლიშვილები აცხადებენ, მათთან საკმაოდ ხშირად მიდიან ევროკავშირის დამკვირვებლები, აგრეთვე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც დაპირდნენ, რომ თვენახევარში სახლს აუშენებენ. თუმცა, როგორც თედლიშვილები ამბობენ, დახმარების სახით ჯერ მხოლოდ ლობიო მიიღეს. აღსანიშნავია, რომ მათ ოჯახში ინვალიდი ბავშვი ჰყავთ.

ინტერპრესნიუსი

რეალობა

# სარკოზი-მედვედევის შეთანხმება:

**საქართველოსთვის საბედისწერო დღეს, როდესაც რუსული ტანკები თითქმის ნატახტართან იდგნენ, მოსკოვში სასწრაფოდ ჩაფრენილმა ნიკოლა სარკოზიმ, ექვსპუნქტიანი სამშვიდობო შეთანხმების კომენტირებისას ნიშანდობლივი რამ თქვა: „საქართველოს ამ რეგიონში (ანუ სამხრეთ ოსეთში — ნ.ვ.) რუსეთის ძალთა სტატუსი და უფლებამოსილება ჩემი მოგონილი არ არის და ვერც ეჭვქვეშ დავაყენებო“. ესე იგი, როდესაც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1992 წლის დაგომისის ხელშეკრულებას გაეცნო, გაოგნდა: ასეთი კაბალური და სამარცხვინო შეთანხმება ხომ არავის არასდროს გაუფორმებია?**

მოსკოვი კი, პარიზთან კავკასიაში „ახალი წესრიგის“ თაობაზე ურთიერთმოქმედებისას განუწყვეტლივ აპელირებდა 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის შეთანხმებაზე, რომელიც, გვინდა ეს თუ არა, მოგვწონს თუ არა, ვაღიარებთ თუ არა, საქართველომ იძულებით(!) დაარღვია 2008 წლის 7 აგვისტოს, როდესაც ძალით უპასუხა ოსი სეპარატისტების თავხედურ პროვოკაციებს, - თამარაშენისა და ავნევის უმოწყალო დარბევას.

სწორედ დაგომისის ხელშეკრულება დაედო პოლიტიკურ საფუძვლად სარკოზი-მედვედევის შეთანხმებას და სანამ უკანასკნელი დოკუმენტის განხილვას შევუდგებოდეთ, აქვე უნდა ითქვას, რომ დაგომისის ხელშეკრულება თავისთავად აბსოლუტურად უპრეცედენტოა მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში:

რაკი „სამხრეთ ოსეთში“, 1991 წლიდან დაწყებული, რუსეთის მოქმედებას კვიპროსზე თურქეთის ქმედებას ადარებენ, შეიძლება ასეც ითქვას: ეს იგივეა, ბერძნები კუნძულზე თურქული არმიის შეჭრას რომ დათანხმებოდნენ და მისთვის „სამშვიდობო სტატუსი“ მიენიჭებინათ საკუთარი ხელმოწერით.



სინამდვილეში, მედვედევმა ცეცხლის შეწყვეტა და თბილისზე შეტევის შეჩერება ძალიან ძვირად მიჰყიდა ფრანგებსა და, ზოგადად, ევროპელებს: ორივე მხარე ხვდებოდა, რომ ხელშეკრულება დაირღვეოდა, მაგრამ სარკოზის სჭირდებოდა ომის შეწყვეტა, ხოლო პუტინ-მედვედევის ორთავიან ტანდემს — მისი ქმედებების ლეგალიზაცია.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, მოსკოვში ხელმოწერილი დოკუმენტი არ არის შეთანხმება საქართველოსა და რუსეთს შორის. რუსებმა იგი პოლიტიკურად გააფორმეს, როგორც შეთანხმება საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს, საქართველოსა და აფხაზეთს შორის, რომლის გარანტებიც არიან ერთის მხრივ რუსეთის ფედერაცია, ხოლო მეორეს მხრივ — საფრანგეთის რესპუბლიკა და ევროკავშირი. მართალია საქართველოს პრეზიდენტმა დოკუმენტის მხოლოდ იმ ვარიანტს მოაწერა ხელი, რომელსაც კოკოითისა და ბაღაფშის ხელმოწერები არ „ამშვენებდნენ“, მაგრამ ამით, პოლიტიკური თვალსაზრისით (რაც იურიდიულ დეტალიზებას ხშირად არ ემთხვევა), ბევრი არაფერი იცვლება.

მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რაც დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ მოხდა.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვმა მთლიანად დაარღვია ეს ხელშეკრულება (არსიც და სულისკვეთებაც) და მისი ღირებულება იმ ქაღალდის ფასზე დაიყვანა, რომელზეც იგი დაბეჭდილია.

ნიკოლა სარკოზის თვითმფრინავი მოსკოვიდან აფრენილიც არ იყო, რომ რუსულმა ჯარებმა დაიკავეს გორი, შემდეგ იგოეთი, დასავლეთ საქართველოში კი — ფოთი.

შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა „უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღებას“; თუმცა, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რამდენად სახიფათოა საერთაშორისო დოკუმენტში ორმაგად წაკითხვის შესაძლებლობის მქონე ფრაზების დაფიქსირება. მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქმე რუსულ პოლიტიკასთან გაქვს. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი იმ დღეებში გულამოსკვნით ჩიოდა, რომ სიტყვიერი (!) შეთანხმების საფუძველზე ეს „დამატებითი ზომები“ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ პატრულირებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიაზე და მეტს არაფერს.

მით უმეტეს არ ითვალისწინებდა ფოთში შეჭრასა და ცენტრალური ავტომაგისტრალის გადაკეტვას. შეთანხმებაში არაფერია ნათქვამი აგრეთვე „ბუფერული ზონების“ შესახებ.

სხვათა შორის, ამ მომენტში რუსები იმავე ავადსახსენებელ „დაგომისის ხელშეკრულებას“ იყენებდნენ, რომელიც ნამდვილად აწესებდა „უსაფრთხოების“ ზონას — გორამდე და ცენტრალურ ავტომაგისტრალსაც

ხედვა

*დიახ! მოკლედ და ლაკონურად ასე შეიძლება საქართველოს დღევანდელი სავალალო მდგომარეობის გამოხატვა.*

*უფრო ვრცლად, — ის მატარებელი, რომელიც 2003 წელს სპორტის სასახლეში დაქოქა მიშა ბიძიამ, გრიშა ბიძიას დეპოში აღმოჩნდა. (გრიშა ბიძიას დეპო კარგა ხანია დომინანტობს ქართულ პუბლიცისტიკაში)...*

*ნათქვამია, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო, მაგრამ გადაბრუნდა კი არა, ჩვენი ურემი უფსკრულში გადაიჩეხა... თუმცა, სამწუხაროდ, გზა ხსნისა ჯერაც არ სჩანს! არც გამოჩნდება მანამ, ვიდრე ერი და ბერი, დიდი თუ პატარა, ჩინიანი თუ უჩინო არ გავიაზრებთ, ცივი გონებით არ განვსჯით ჩვენს ეროვნულ კატასტროფას.*

# ნატოს მაგივრად გრიშა ბიძიას დეპოში!..

## ნატო თუ ევროკავშირი?

**ეს კითხვა ასედაც შეიძლება დაისვას — ამერიკა თუ ევროპა? რადგან ნატო მთელი მსოფლიოსთვის, ქვეშეცნეულად, პირველ რიგში აშშ-ს ნიშნავს.** ნატო-ნატოს დაუფიქრებელ-გაუაზრებელმა ძახილმა დაგვმართა ის, რაც გვჭირს. ეს სამხედრო ბლოკი ქართველი აპოლოგეტებისთვის, პირველ რიგში, ქვეყნის უსაფრთხოებას ნიშნავს, აქედან გამომდინარე, სხვა სიკეთეებითურთ... თუმცა, დავანებოთ თავი „სხვა სიკეთეებს“ და მხოლოდ ერთი, კონკრეტული საკითხი განვიხილოთ, — ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია. „ნაცების“ მთავარმა იდეოლოგმა და ნატოს ერთ-ერთმა უპირველესმა ლობისტმა გიგა ბოკერიამ წაგებულ ომში „გამარჯვების“ შემდეგ ისიც კი განაცხადა, რომ — **ოპოზიციის ბრალია, ბუქარესტში „მაპი“ რომ არ მოგვცესო.** ბოკერიას „ღრმა აზრის“ ქვეტექსტიც აშკარა იყო. „მაპი“ რომ გვქონოდა, რუსეთი ვერ გაბედავდა იმას, რაც გაბედაო!



დავუშვათ, ბუქარესტში „მაპი“ კი არა, პირდაპირ მივეღეთ „ნატოში, ანუ, აგვისტოს ხუთდღიანი ომის დროს ნატოს წევრი ვყოფილიყავით — ამოქმედდებოდა ნატოს წესდების ის მუხლი, რომელიც ამ ორგანიზაციის ერთ წევრზე თავდასხმას, ყველა დანარჩენზე თავდასხმად მიიჩნევს? **პირდაპირ ვთქვათ, აშშ სამხედრო ძალით ჩაებმებოდა, რუსეთ-საქართველოს ომში? არა! არა და არა! იმიტომ რომ...**

**დღეს უკვე გაფართოებული ნატოს წევრი 26 ქვეყანაა, მაგრამ ქვეყანას გააჩნია. იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ხვალ, ვთქვათ, ბალტიის რომელიმე ქვეყანას, რუსეთმა რომ დაარტყას — ავტომატურად ამოქმედდება ნატოს წესდების ის მუხლი? რა თქმა უნდა, არა! რადგან რუსეთთან სამხედრო დაპირისპირება მესამე მსოფლიო ომს ნიშნავს. ამაზე კი არც აშშ წავა და, მით უმეტეს, არც ბებერი, მაძღარი ევროპა. ჩვენი გულისთვის ომი კი არა, ეკონომიკური სანქციები არ დაადეს რუსეთს!**

**ამას თუ არ იზამენ უწყინარი ესტონეთის გამო, მით უმეტეს არ იზამენ არა პროგნოზირებად, ევროსაბჭოს მიერ ომის გამჩაღებლად მიჩნეულ საქართველოს გამო. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ნატო ჩვენისთანა ქვეყნებისთვის არამც და არამც უსაფრთხოების პანაცეა არ არის. ამის გარანტი მხოლოდ ჩვენივე დემოკრატიაზე დამყარებული, დაბალანსებული საშინაო და საგარეო პოლიტიკაა, რისგანაც, სამწუხაროდ, ძალზე შორსა ვართ.** რაც შეეხება რუსეთს და ნატოს წევრ მნიშვნელოვან, წონიან ქვეყნებს, რომელზე თავდასხმის შემთხვევაში მართლაც ავტომატურად ამოქმედდება ამ სამხედრო ბლოკის „ის“ მუხლი, რუსეთს იმდენი ჭკუა ყოფნის, რომ ევროპის გრანდებთან — იტალიასთან, საფრანგეთთან, ინგლისთან, გერმანიასთან და სხვებთან არანაირ ღია კონფრონტაციაში არ შევიდნენ ისევე, როგორც ეს უკანასკნელნი მოერიდებიან იმავე რუსეთთან დამოკიდებულებაში.

ახლა, როდესაც ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის პოზიციაში თუ ოპოზიციაშიც ნათელია, რომ ნატომ საქართველოსთვის ჩაილურის წყალი დალია, ჩვენი დიპლომატიის „ვარსკვლავებმა“ საქართველოს განვითარების ვექტორი ნატოდან ევროკავშირისკენ მიმართეს. ვშიშობ, იგივე არ დაგვემართოს, რაც ნატოს შემთხვევაში. ანუ, ევროკავშირიც იდეაფიქსად თუ გვექცა, ახალი იმედგაცრუება არ ვიწვნიოთ, რადგანაც ნატოს მსგავსად, ევროკავშირის წევრების თანასწორობაც პირობითი მცნებაა.

ევროკავშირში ახალი წევრები, ალბათ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, როგორც მომხმარებელი ისე სჭირდებათ და არა როგორც მწარმოებლები, რადგან ასეთი ნიში, ევროპის დიდ ბაზარში, ყველა მიმართულებით დაკავებული და ათვისებულია, ახალი კონკურენტების გაჩენას არ დაუშვებენ. ამის მაგალითია ის, თუ როგორ აიძულეს უნგრეთი მევენახეობაზე უარი ეთქვა. საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის ღვინოებით გაჯერებულ ბაზარს არც ვაზის სამშობლოდ აღიარებული საქართველოს ღვინო გაუხარდება. ერთადერთი „სიკეთე“ ჩვენთვის ევროკავშირის პასპორტი იქნება, რომლითაც უვიზოდ შეგვეძლება კავშირის ქვეყნებში წასვლა. ისედაც დაცლილი საქართველო, ქართველებისგან კიდევ უფრო დაიცლება და დღევანდლისგან განსხვავებით, ლეგალური უფლება გვექნება ევროპელ-ამერიკელების პამპერსების გამოცვლისა თუ ღამის ქოთნების რეცხვისა.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## გალში რუსები აფეთქდნენ

**გალის რაიონის სოფელ რეფში, რუსი აგრესორების ორი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა.**

**როგორც „აფხაზეთის მედიაცენტრს“ სანდო წყარომ აცნობა, შემთხვევა სოფელ რეფში, 9 ოქტომბერს, დაახლოებით, 18:00 საათზე მოხდა. არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი რუსი სამხედროები „ურალისა“ და „კამაზის“ ტიპის ავტომანქანებს მართავდნენ.**

**ავარიის შედეგად, აფეთქდა ერთ-ერთი მანქანა, რომელიც ნალმებით იყო დატვირთული.**



**შემთხვევის დროს აღნიშნულ მანქანაში ექვსი რუსი სამხედრო იმყოფებოდა. არსებული ინფორმაციით, ექვსივე ადგილზე დაიღუპა.**

**ანალოგიურ შემთხვევას რამდენიმე დღის წინათ გალის რაიონის ქვედა ზონაში ჰქონდა ადგილი, რასაც სამი რუსი სამხედრო და ერთი ადგილობრივი კრიმინალი შეეწირა.**

**გალის მოსახლეობა აღნიშნავს, რომ მსგავსი ფაქტები ხშირია, რადგან აგრესორები ავტომობილებს, როგორც წესი, ნასვამ მდგომარეობაში მართავენ, რაც მოსახლეობას დამატებით საფრთხეს უქმნის.**

**მათივე ცნობით, ასეთ შემთხვევებს რუსეთის საოკუპაციო ჯარებისა და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლები ასაიდუმლოებენ.**

ინტერპრესნიუსი

რეალობა

# ძალა აღმართს ხნავს



კვეთდა, მაგრამ ფოთისა და სენაკის ტერიტორიებამდე 90-იანი წლების „სამშვიდობო ფორმატებით“ გათვალისწინებული ზონებიც კი ვერ აღწევდნენ, ანუ ხსენებული პუნქტის შესაბამისად, რუსებს შეეძლოთ „უსაფრთხოების დამატებით ზომებად“ გამოეცხადებინათ, ვთქვათ, თბილისში შემოსვლა და სამთავრობო შენობების ბლოკირება;

ანუ, აქ ყველაფერი პოლიტიკურ მიზანშეწონილებაზე და დასავლეთის რეაქციაზე იყო დამოკიდებული; მაშასადამე, შეთანხმების ეს პუნქტიც (უსაფრთხოების დამატებითი ზომების შესახებ) რუსეთმა არათუ დაარღვია, არამედ თვით დოკუმენტის პოლიტიკური სულისკვეთების საწინააღმდეგოდ გამოიყენა; ხელშეკრულების მეორე, პირდაპირი და უხეში დარღვევა იყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, რაც აგრეთვე კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა სარკოზი-მედვედევის შეთანხმების მთელ სულისკვეთებას, მის, თუ შეიძლება ასე ითქვას „ფილოსოფიას“.

უფრო მეტიც: მოსკოვმა განაცხადა, რომ აპირებს შექმნას სამხედრო ბაზები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში; და ეს მაშინ, როდესაც შეთანხმებით, რუსული ჯარები უნდა დაბრუნებულიყვნენ 7 აგვისტომდე არსებულ ხაზზე. პრეზიდენტ მედვედევის თქმით „დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ შეიქმნა ახალი რეალობა და რუსეთი მოქმედებდა ამ რეალობის შესაბამისად“.

კი მაგრამ, სად გაგონილა „ახალ რეალობას“ საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევის უფლება მიეცა ერთ-ერთი ხელმომწერი მხარისთვის?

მაგრამ მოსკოვში მეორე ვიზიტისას პრეზიდენტმა სარკოზიმ (ზოგადად დასავლეთმაც) ესეც „გადაყლაპა“ და ახალი შეთანხმების გაფორმებით რუსეთს დაუდასტურა, რომ ამაზე თვალს დახუჭავს (რეალურად) თუკი მოსკოვი სხვა პუნქტებს შეასრულებს და ჯარებს 7 აგვისტომდე არსებულ ხაზზე თუ არა, „ბუფერული ზონებიდან“ მაინც გაიყვანს.

სარკოზი-მედვედევის შეთანხმების კიდევ ერთი პუნქტი ეხებოდა კონფლიქტის ზონაში ჰუმანიტარული ტვირთების შეტანას, ჰუმანიტარული დერეფნების შექმნას და, ზოგადად, ჰუმანიტარული ძალისხმევის ხელშეწყობას. ეს პუნქტიც უხეშად დაირღვა, რადგან რუსულმა ჯარებმა საქართველოს ტერიტორიიდან — ცხინვალის რეგიონში საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები არ შეუშვეს და ჰუმანიტარული ტვირთების დარიგებაზეც კატეგორიული უარი განაცხადეს.

ამრიგად, რუსეთმა არ შეასრულა და უხეშად დაარღვია სარკოზი-მედვედევის შეთანხმების ყველა ის პუნქტი, რომელიც საქართველოში მისი შორსმიმავალი მიზნების რეალიზებას ხელს უშლიდა. მიუხედავად ამისა, დასავლეთი ფაქტობრივად (!) იძულებული გახდა შერიგებოდა ახალ რეალობას — ძალით ჩამოყალიბებულ სტატუსკვოს და დებატები რუსეთთან მხოლოდ თეორიულ რაკურსში გადაეტანა ანუ იმავე „ჟენევის ფორმატში“, რომელიც მხოლოდ ექსპერტების დონეზე შეხვედრას ითვალისწინებს ჯერჯერობით და მეტს, რეალურად, არაფერს!

რუსეთის მოქმედება როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური და დიპლომატიური თვალსაზრისით სხვა არაფერია, თუ არა საერთაშორისო სამართლისა და დიპლომატიის ელემენტარულ კანონთა იგნორირება, მათი ფეხქვეშ გათელვა და „ძალის უფლების“ დამკვიდრება (საკუთარი სუვერენული საზღვრების მიღმა) — ნაცვლად საერთაშორისო სამართლის ძალისა. სამწუხაროდ, რიტორიკის მიუხედავად, დასავლეთს არ გააჩნია არანაირი ბერკეტი და სურვილიც (მზადყოფნა), რათა რუსეთისაგან რაიმე უფრო მეტი მოითხოვოს, ვიდრე კარალეთიდან და ფოთიდან ჯარების გაყვანაა.

ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ დენიელ ფრიდმა უკანასკნელ ინტერვიუში პირდაპირ განაცხადა კიდეც, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის“ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება „შორეული მომავლის საქმეა“ იმ აზრით, რომ საქართველო უნდა იქცეს ეკონომიკურად და პოლიტიკურად (დემოკრატიის თვალსაზრისით) მიმზიდველ ქვეყნად, რათა ოსებმა და აფხაზებმა თავად მოინდომონ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება. თუმცა, როცა საქმე ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილ სიძულვილს ეხება, არც ერთი და არც მეორე ფაქტორი სინამდვილეში განმსაზღვრელი არ არის. მაგალითად, ძალზე მიმზიდველი ქვეყანაა დიდი ბრიტანეთი, დემოკრატიაც არ დაეწუნება, მაგრამ ჩრდილო ირლანდიელებს მისკენ გული მაინც არ მიუწევთ.

თუ პირდაპირ ვიტყვით, სარკოზი-მედვედევის შეთანხმება რუსეთმა იმავე ევროპელებს „ცხვირწინ დაუფხრიწა“ და ნუგეშად სახის შენარჩუნების საშუალება დაუტოვა — ევიანში მედვედევის სტუმრობის ფორმით.

სამაგიეროდ სისხლი აღარ იღვრება და კოდორისა თუ ლიახვის ქართულ ნასახლარებზეც (სასაფლაოს) მშვიდობა დაისადგურებს. ევროპელებს კი მშვიდობის გარდა არაფერი სურთ, რაკი ხედავენ და აღიარებენ, რომ კავკასიაში, 2008 წლის აგვისტოში ძალამ აღმართი მოხნა.

**ნიკა ვაშაკიძე,**
**XO-ეიზ-ენი**

ხედვა

(მესამე გვერდიდან)

# ნატოს მაგივრად გრიშა ბიძიას დეპოში!..

იგივე შეიძლება ითქვას ჩვენისთანა ქვეყნების სამეცნიერო პოტენციალის, მრეწველობის სხვა დარგების, მიმართ — ეს „იქ“ არავის დასჭირდება. ერთი სიტყვით, ახდება მიშას ნანატრი — საქართველო სინგაპურის მსგავსი ქვეყანა გახდება, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის, ქართველების რაოდენობა 10-12 პროცენტს არ აღემატება და ისინიც სქელჯიბა უცხოელების მომსახურე პერსონალად იმუშავებენ ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში შვეიცარ-დამლაგებლებად, ვისაც უფრო მეტად „გაუმართლებს“, ბორდელებში — „ღამის პეპლებად“.

რაც ყველაზე სამწუხაროა, თანდათან, შეუქცევადად, ქართულ კულტურაზე, ეროვნულ თვითმყოფადობაზე უარის



თქმა მოგვიწევს... საქართველოშიც ისე გაჯეჯილდებიან და მომრავლდებიან ე.წ. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლები, თბილისურად რომ ვთქვათ, პედერასტები. ჩემთვის დემოკრატიის ხიბლი იქ მთავრდება, სადაც პედერასტების ალლუმები ეწყობა. „თავისუფლების ინსტიტუტის“ მამებისგან განსხვავებით პედერასტებს ვერ მივიჩნევ ჩემს ტოლ-სწორებად... ალბათ ჩემსავით „გაუნათლებელი“ იყო დემოკრატიის კუთხით მამა ღმერთი, რადგან სწორედ სოდომ-გომორის ცოდვის გამო მოუვლინა, მისსავე შექმნილ კაცობრიობას წარღვნა.

**აი, შეძლებისდაგვარად, მოკლედ იმ შუქ-ჩრდილების შესახებ, რომლებიც შეიძლება მოგვიტანოს საკითხის ასე უალტერნატივოდ დაყენებამ — ამერიკა თუ ევროპა? მაშ რა ვქნათ? სად არის გამოსავალი? ჩემი აზრით, ასე ერთმნიშვნელოვნად — არც ამერიკა და არც ევროპა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ჭეშმარიტება ოქროს შუალედშია, რასაც —**

### საქართველოს ნეიტრალიტეტი ჰქვია...

**თუ არ ვცდები, ჯერ კიდევ შარშანწინ, ანუ რუსეთ-საქართველოს სამხედრო დაპირისპირებამდე კაი ხნით ადრე, რუსეთმა გაახმოვანა საქართველოს ნეიტრალიტეტის იდეა.** ეს იყო ჩვენი დიდი მეზობლის მხრიდან საქართველოს მიმართ გაკეთებული კომპრომისული ჟესტი: **კი ბატონო, ჩემთან ერთად პოლიტიკური ყოფნა არ გინდათ? ნურც ამერიკასთან იქნებით!**

ამ განცხადების სტრიქონებს შუა, ფარული მუქარაც აშკარად იკითხებოდა, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა საქართველოს ნატოში გაწევრიანებას. აკი, არც უშვებს!...

მაშინ ეს პრობლემა ჩვენმა მმართველმა ელიტამ არც კი განიხილა. მხოლოდ წარსულში დემაგოგიური წიაღსვლები თუ პარალელების გავლება — 1918 წელს ნოე ჟორდანიას მთავრობასაც უნდოდა ნეიტრალიტეტიო და... აქ დაამთავრეს. უფრო მეტიც, ლამის ქვეყნის მოღალატეებად შერაცხეს, ვინც ამ საკითხზე ხმის ამოღებას ბედავდა. იქვე რუსეთის მიმართ შეურაცხმყოფელ-გამაღიზიანებელი განცხადებებიც აკეთეს: **მაგათ ვინ ჰკითხავთ, ჩვენ ვიცით სადაც შევალთ, ჩვენი მეგობარი ამერიკაა და ამით ყველაფერია ნათქვამიო!**

ეს იმას მაგონებს, როცა ფინია კავკასიურ ნაგაზს უყეფს. ნაგაზი თავიდან ყურადღებას არ აქცევს, მაგრამ თუ ბევრი „გაახურა“ გოშიამ, იმას უზამს, რაც საქართველოს უყო რუსეთმა — ერთი მაგრად ჩაგვცხო რუსულმა დათვმა...

არა და, საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი რომ გამხდარიყო ნეიტრალიტეტის თემა, ადვილად დავუმტკიცებდით დემაგოგებს ისტორიულ პარალელების უსაფუძვლობას — 1918 წელს, ნოე ჟორდანიას გარდა თითქმის არავის სურდა მსოფლიოში საქართველოს ნეიტრალიტეტი. დღეს კი, როცა ამ იდეას მსოფლიოს ერთ-ერთი ზესახელმწიფო ახმოვანებს, ეს იმასაც ნიშნავს, რომ იგივე რუსეთი იქნებოდა საქართველოს ნეიტრალიტეტის გარანტი. ჩვენ რომ მაშინ ხმამაღლა გაგვეცხადებია ამის შესახებ, ჩვენი, „მეგობარი“ დასავლეთიც იძულებული გახდებოდა თავის მხრივ ეკისრა გარანტის როლი.

ისე, არც ახლაა გვიან. ნეიტრალიტეტის იდეა კვლავაც არსებობს და მას განხილვის უფლება ნამდვილად აქვს. სამწუხარო ის არის, რომ ე.წ. ოპოზიციური სპექტრი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, „ნაცებივით“ ჩაციკლულები არიან ნატოზე. მათი მესიჯი ოკეანის გალმელებისადმი ასე იკითხება: **ჩვენ ნაცებზე უფრო პროგნოზირებადი, მორჩილი მონები ვიქნებით და დაგვეხმარეთ ხელისუფლების დაუფლება-შენარჩუნებაში, ანუ, ოპოზიციის უმრალესობა, თავისი მრწამსით ისევე შორს არის ეროვნულობისგან, როგორც ხელისუფლება!**

მართალია, ნეიტრალიტეტი დღეს ვერ დაგვიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს, მაგრამ პოლიტიკური ნეიტრალიტეტი საშუალებას მოგვცემს რუსეთთან ახალი, სუფთა ფურცლიდან ურთიერთობის დაწყებისას; აქედან გამომდინარე, რუსულ ბაზარზე და საერთოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში თვისობრივად ახალი ფორმით ინტეგრირებისა, რაც საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთადერთი გზაა.

აქვე იმასაც შევახსენებ ხელისუფლებაში თუ მის მიღმა მყოფ ურაპატრიოტებს, რომ საქართველოს, ისევე როგორც რუსეთს, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ დაიშლება, ვერავინ შეუცვლის გეოგრაფიულ მდებარეობას. ანუ, გვინდა თუ არა, ადრე თუ გვიან, მოგვიწევს მეზობელთან ურთიერთობა. ამიტომ რუსოფობიულ გამოხტომებს, სჯობს ის გავიხსენოთ, როგორი „მონები“ ვიყავით ქართველები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, დედამიწის ერთ მეექვსედზე როგორი შეუზღუდავი ასპარეზი გვქონდა მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სპორტში, მრეწველობაში სოფლის მეურნეობაში ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

* * *

ყოველივე ზემოთ ნათქვამი რომ უაზრო წყლის ნაყვაა, ჩემთვის ცხადზე უცხადესია, მანამდე, მაინც, ვიდრე ხელისუფლებაში ისეთი ძალა არ მოვა, რომელიც არავისთან იქნება ანგარიშვალდებული, საკუთარი ხალხის გარდა. ასეთი პერსპექტივა კი მეტად ბუნდოვანია. ასე იქნება მანამ, ვიდრე ყველაფერს თავის სახელი არ დაერქმევა...

მგლის თავზე სახარების კითხვას არავითარი აზრი არ აქვს, რადგან — „ძაღლის კუდი არა განიმართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს!“...

**დავით მხეიძე**

სამწუხარო რეალობა

# ადვოკატები პროკურორების პასუხისგებაში მიცემას მოითხოვენ

**ადვოკატებმა მალხაზ ჯანგირაშვილმა და ზაზა ხატიაშვილმა სამართალდამცავი ორგანოების შეცდომებზე და მათ მიერ განხორციელებულ ტერორზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრიდან ტაბუდადებულ მოვლენებზე პრესკონფერენცია გამართეს. მათ მოითხოვეს ზურაბ ვაზაგაშვილის ვანდალური მკვლელობის ობიექტური გამოძიება. საქართველოს გენერალურ პროკურატურაში კიდევ ერთხელ აპირებენ სარჩელის შეტანას, რომელსაც თან ახლავს ფოტო და ვიდეო მტკიცებულებები.**

ადვოკატმა მალხაზ ჯანგირაშვილმა სრული პასუხისმგებლობით განაცხადა: „ვაზაგაშვილის მკვლელობაზე სპეცოპერაციის ყველა პირმა ცრუ ჩვენება მისცა, რაც მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველია, იმის გარდა, რომ ისინი ცრუ და ყალბ ჩვენებას იძლევიან, დაინტერესებული პირებიც არიან. ჩვენ გვაქვს ფოტოები და ვიდეომასალა, რომელზედაც აშკარად ჩანს, რომ ვაზაგაშვილის მანქანა ბოძს შეეჯახა და ამის შემდეგ სპეცოპერაციის მონაწილეებმა მას ინტენსიურად ესროლეს მანქანაში მსხდომი პირების მიზანმიმართულად ჩასახოცად, იქნებ ჩვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შემდეგ საქართველოში გამოძებნოს ისეთი პროკურორი, რომელიც არ შეასრულებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანთა პოლიტიკურ შეკვეთას და გადაწყვეტილებას მიიღებს კანონის მოთხოვნის საფუძველზე.



ზაზა ხატიაშვილი და მალხაზ ჯანგირაშვილი მოითხოვენ ყველა იმ პროკურორის პასუხისგებაში მიცემას, ვისაც შეხება ჰქონდა სისხლის სამართლის საქმესთან, და რომლებმაც ბოროტად გამოიყენეს თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილება. მოახდინეს მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია და დაფარეს პოლიციის მუშაკების მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

მათ არ სჯერათ საქართველოს პრეზიდენტის არც ერთი სიტყვისა დემოკრატიული სასამართლოს არსებობის შესახებ და ქვეყნის მოსახლეობას მიმართავენ, ხმა აიმაღლონ, რათა ხელისუფლების ერთიანი ძალით მოსთხოვონ ზურაბ ვაზაგაშვილის მსგავსი წინასწარ დაგეგმილი ბარბაროსული მკვლელობების გამოძიება.

**მირანდა ფორჩხიძე**

ინფორმაცია

## მაკედონიამ და ჩერნოგორიამ კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა

**მაკედონიამ და ჩერნოგორიამ კოსოვოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიარეს. განცხადებები ამის შესახებ ამ ორი ქვეყნის საგარეო უწყებების ხელმძღვანელებმა გააკეთეს. ინფორმაციას ამის შესახებ „ასოშიეიტედ პრესი“ ავრცელებს.**

**„ჩვენმა მთავრობამ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილება მიიღო“, — განაცხადა მაკედონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტონიო მილოსოსკიმ.**

**მაკედონიის მთავრობის მიერ ამ გადაწყვეტილების მიღებამდე მაკედონიის პარლამენტმა რეზოლუცია მიიღო, რომლითაც მთავრობას კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისკენ მოუწოდებდა.**

**„ჩვენმა მთავრობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ“, — განაცხადა ჩერნოგორიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მილან როჩელმა.**

**შეგახსენებთ, რომ კოსოვომ დამოუკიდებლობა ცალმხრივად 2008 წლის 17 თებერვალს გამოაცხადა. მისი დამოუკიდებლობა ამ დროისათვის გაეროს 40-მა წევრმა სახელმწიფომ აღიარა.**

## რუსების დისლოცირებას აპროტესტებენ

**აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული რეგულარული არმიის დისლოცირებას აპროტესტებს. ამის შესახებ განცხადება დეპარტამენტის წარმომადგენელმა შონ მაკკორმაკმა გააკეთა.**

**ამასთან, მაკკორმაკი საქართველოდან ჯარების გაყვანის შესახებ მოსკოვის გადაწყვეტილებას პოზიტიურს უწოდებს, თუმცა, ევროკავშირთან კონსულტაციების დასრულებამდე პოლიტიკური დასკვნებს არ აკეთებს.**

**რუსული ჯარების გაყვანის პროცესი თავისთავად წინგადგმული ნაბიჯია, თუმცა, შესაძლოა, პრობლემები ცალკეულ ბლოკ-საგუშაგოებთან დაკავშირებით შეიქმნას, — აღნიშნა დეპარტამენტის წარმომადგენელმა.**

## ოსებს და აფხაზებს გაეროში რა უნდათ!

**აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტებს სერგეი ბაღაფშსა და ედუარდ კოკოითს ვაშინგტონი მარიონეტებს უწოდებს.**

**ტელეკომპანია „იმედის“ ინფორმაციით, როგორც გაერო-ში ამერიკის ელჩმა ზალმაი ხალილზადემ განაცხადა, ამერიკული მხარე ე. წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებას არ აღიარებს და შესაბამისად, გაეროში მათი მიწვევის კატეგორიული წინააღმდეგია.**

**საქართველოში გაეროს მისიის სახელწოდების შეცვლაზე საუბარიც ზედმეტია. ვაშინგტონი ამას არასდროს დაუშვებს, რადგან ეს სეპარატისტთა აღიარებას ნიშნავს. რაც შეეხება უშიშროების საბჭოს სხდომაზე სეპარატისტთან ლიდრების მიწვევას ჩვენი პოზიცია ერთმნიშვნელოვანია — ჩვენ შეერთებულ შტატებში მარიონეტთა გამოჩენის კატეგორიული წინააღმდეგი ვართ“, — განაცხადა ხალილზადემ.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

გუშინ, დღეს...

# აღუვსებელი საწყაული, ანუ ამაოება ამაოთა



დავიწყოთ იქიდან, რომ ტერიტორიები, რომელიც ოსებსა და აფხაზებს უჭირავთ, ისტორიულად ქართულია. საქართველოს საზღვრების საკითხი საფუძვლიანად გამოიკვლია ივანე ჯავახიშვილმა (იხ. მისი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, თბ., 1919.ძ. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, აშკარად მტკიცდება, რომ შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვარი თეთრ წყლებზე ან ჩაღან უსუნზე გადიოდა (ჟამთააღმწერელიძ. უფრო ზუსტად ეს საზღვარი თეთრ წყლებსა და შამახიის მთის ძირას (თეთრი წყალი შამახიას მთის დასავლეთ ფერდობს ჩამოუდისძ მდებარეობდა. საკუთრივ საქართველოს ეთნიკური საზღვარი კი, როგორც ივ.ჯავახიშვილი მიიჩნევს, უფრო დასავლეთით – გიშის წყალზე გადიოდა. დასავლეთი საზღვარი „ყოველი იმერი სამეფო“ იყო, ე.ი. მთელი დასავლეთი საქართველო სრულიად საქართველოს სახელმწიფო შემადგენლობაში შედიოდა. ასე რომ, სახელმწიფო საზღვარი დასავლეთით შავ ზღვამდე აღწევდა. სამხრეთით საზღვარი ქურდვაჭრის იქეთა (აღმოსავლეთიძ მხარეა (ბასილი ეზოსმოძღვარიძ, რომელშიც იგულისხმება კაენისა (მდ. აღსტევის ხეობაშიძ და კაიწონის (მდ. ქურდვაჭრის – დებედის მარჯვენა მხარესძ ციხეები. უფრო ზუსტად, ესაა გარდაბანი, ე.ი. ტერიტორია, რომელიც ქურდვაჭრის (მდ.დებედაძ ხევსა და მდ.აღსტევს შორის მდებარეობდა (ჟამთააღმწერელიძ. საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთმდებარე საზღვრისპირა მხარედ წყაროები შამქორს ასახელებენ (ჟამთააღმწერელიძ. ესაა გელაქუნის ტბასა და მდინარე მტკვარს შორის მოქცეული ტერიტორია. ქვეყანას სამხრეთითვე ესაზღვრებოდა აირარატის პროვინცია, მდ.რახსი და ნახჭევანი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ძ. თამარისდროინდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი სპერია („ჯავახეთით სპერამდის“ძ.



საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის ქედის გასწვრივ ჩრდილო-დასავლეთით ნიკოფსიამდე მიდიოდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით შამახიის მთამდე ვრცელდებოდა („ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“). კავკასიონის მიღმა მდებარეობდა საქართველოს ყმადნაფიცი (ვასალური) ქვეყნები: ქაშაგეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, ღუნძეთი, ლეკეთი (ბასილი ეზოსმოძღვარი).

დავით IV აღმაშენებლის ტიტულატურაა – „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა“. აქ დიდი მეფის მფლობელობაში შემავალი ქვეყნებია დასახელებული. დავით აღმაშენებელი თავის ანდერძშიც ხაზგასმით მიანიშნებს, მისი „მოგებული“ მამული გადაჭიმულია „ნიკოფსიიდგან დარუბანდის ზღუდამდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე“. დავით აღმაშენებლის ტიტულატურის ანალოგიურია მეფე თამარის ტიტულატურაც. აქაც რეალურადაა ასახული საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე და გეოგრაფიული სიდიდე.

იქნებ არც იყო საჭირო დეტალურად საქართველოს ისტორიული საზღვრების შესახებ ვრცელი საუბარი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს ისტორიის გაყალბების ყოველგვარი მცდელობა მტრულად განწყობილი პირებისა, უსუსურია და სინამდვილეს არ შეეფერება. ეს კარგად იცოდნენ თვით აფხაზმა და ოსმა მეცნიერებმაც.

აფხაზური ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი დიმიტრი გულია საგანგებოდ აღნიშნავდა: „აფხაზეთი, რომელიც ყოველთვის იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ცხოვრობდა მასთან ერთად ერთი ცხოვრებით მთელი ისტორიის მანძილზე, ორგანულად მონაწილეობდა ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის შექმნაში და ასრულებდა არსებით როლს ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, ცალკეული ქართული ტომებისა და ოლქების გაერთიანებისთვის ბრძოლაში ერთიან, მძლავრ, ეროვნულ ქართულ სახელმწიფოდ“ (დ.გულია, ჩემი წიგნის „აფხაზეთის ისტორია“ შესახებძ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აფხაზეთის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი ზურაბ ანჩაბაძე როგორც თავის მონოგრაფიულ ნაშრომში „შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან“ (VI-XVII საუკუნეებიძ, ისე ქართული ენციკლოპედიისათვის დაწერილ განმაზოგადებელ სტატიებში, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „აფხაზთა სამეფო“ „ერთ-ერთი ადრინდელი ფეოდალური ქართული სახელმწიფოა“ (ქსე, ტ.II, სტ. „აფხაზთა სამეფო“ძ. ამ თვალსაზრისით სხვა აფხაზი ავტორების დასახელებაც შეიძლება. შეგნებულად არ მოვიხმობთ იმ ქართველ მეცნიერთა (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, მ. ლორთქიფანიძე და სხვ.ძ მოსაზრებებს, რომელთაც არაერთი გამოკვლევა მიუძღვნეს აფხაზეთის ისტორიას. ნიშანდობლივია, რომ ამ დროს საურთიერთობო ენა საკუთრივ აფხაზეთში ქართული იყო. ქართულ ენაზე მიმდინარეობდა საკანცელარიო საქმიანობა, წირვა-ლოცვა. ერთი სიტყვით, ქვეყნის ყველა კუთხის (მათ შორის აფხაზეთისძ სახელმწიფო ენა ქართული იყო.

რაც შეეხება ოსებს, ვფიქრობთ სადავო არ არის, რომ ისინი ჩრდილო კავკასიაში (ახლანდელი ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზეძ გარკვეული საუკუნეების წინათ დასახლდნენ სკვითურ-სარმატულ ტომებთან ერთად (ნიშანდობლივია, რომ ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ენათა ჩრდილო-აღმოსავლურ ჯგუფსძ. X–XII საუკუნეებში ოსეთის სამეფოს ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ქვეყანასთან, მათ შორის საქართველოსთანაც (XI-XII სს-ში ოსეთი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყოძ. თემურ-ლენგის შემოსევებმა ოსების გაერთიანებას ბოლო მოუღო და ისინი გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს (უნგრეთში, ბალკანეთის ქვეყნებში და სხვ.ძ. ოსების ერთი ნაწილი შეეცადა ქართლში გადმოსვლას და დამკვიდრებას, მაგრამ ქართველ ფეოდალთა წინააღმდეგობის გამო ეს ვერ მოხერხდა და იძულებულნი გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. XVII– XVIII სს-ში ოსები საქართველოს მთისწინა და ბარის ზოლში (ქართლის ჩრდილო განაპირა ტერიტორიაზეძ ჩამოდიან და სახლდებიან. მცირე ნაწილი (კუდაროს ოსებიძ იმერეთის სამეფოში ჩასახლდა.

ქართლში დამკვიდრებული ოსები არაგვისა და ქსნის ერისთავებისა და მაჩაბლების სამფლობელოში მოხვდნენ. ისინი ფეოდალებს ქართველი ყმა-გლეხების მსგავსად ემსახურებოდნენ. ნიშანდობლივია, რომ ოსები ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ მომხდური მტრის წინააღმდეგ. შემონახულია ცნობები, რომ ოს ყმა-გლეხებს ყურადღებით ეკიდებოდა ერეკლე II. იგი საგანგებოდ სწერდა ზაზა მაჩაბელს, რომ მის მსახურებაში მყოფი თორმეტი ოსისათვის დროულად მიეწოდებინა საკვები და კეთილად მოჰკიდებოდა მათ.

გაკვირვება გამოიწვია რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის CNN–ისადმი მიცემულ ინტერვიუში გამოთქმულმა კატეგორიულმა განცხადებამ, რომ რუსეთის შემადგენლობაში არსებობდა ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი (ერთიანი ოსეთიძ, რომ ი.სტალინმა ოსეთი გაჰყო და სამხრეთი ოსეთი საქართველოს გადასცა, სადაც ავტონომიური ოლქი შეიქმნა; რომ ი. სტალინისავე ძალისხმევით აფხაზეთის ტერიტორია საქართველოს გადაეცა: აქ შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ჩვენ ვერ მოვთხოვთ ბატონ ვ.პუტინს კავკასიის ისტორიის უზადო ცოდნას, მაგრამ ისინი კი, ვინც პრემიერ-მინისტრს ამგვარი ინფორმაცია მიაწოდა, შორს არიან ჭეშმარიტებისაგან. როცა სახელმწიფოს მეთაური ამგვარ განცხადებებს აკეთებს, მას მეტი დაფიქრება სჭირდება; არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ფაქტების გადამოწმებაა საჭირო. სამწუხაროდ ბოლო პერიოდში რუსეთ-ოსეთის ისტორიის ბევრი ფაქტის გაყალბება ხდება (იხ.ან.თოთაძე, ოსები საქართველოში: მითი და რეალობა, თბ., 2006 წ.ძ.

საკმარისია გავეცნოთ ოსი ისტორიკოსის პროფესორ გ.თოგოშვილის გამოკვლევებს, მის სტატიებს ქართულ ენციკლოპედიაში, განსაკუთრებით სპეციალურ ტომში „საქართველოს სსრ“. თავი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სამხრეთი ოსეთი“ (1981 წ., გვ.337-339), რომ რეალურად წარმოვიდგინოთ სამხრეთ ოსეთის ისტორია. ამ თვალთახედვით საინტერესოა, ვ.აბაევის, ბ.ფლიევის, ო.თედეევას, ზ.გაგლოითის, პ.დოგუზოვისა და სხვ.ნაშრომები. აი, რას წერს ოსური მეცნიერების პატრიარქი ვასილ აბაევი: კავკასიის მთავარი ქედი – ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის, და ნებისმიერი მცდელობა ამ საზღვრის წალეკვისა გამოიწვევს ქართველებსა და ოსებს შორის პერმანენტული კონფლიქტის მდგომარეობას... საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, მოვეშვათ საუბრებს საქართველოსგან სამხრეთ ოსეთის გამოყოფის შესახებ. არცერთი ქართული მთავრობა ამას არასოდეს დათანხმდება და მართალიც იქნება, ვინაიდან ეს იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

ვისაც მშვიდობა სურს სამხრეთ ოსეთელებსა და ქართველებს შორის, სამუდამოდ უნდა მოიშოროს სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთთან შეერთების იდეა. ვისაც მშვიდობა უნდა საქართველოსა და რუსეთს შორის, აგრეთვე უნდა მიატოვოს ეს იდეა. ასეთია რეალობა („ნეზავისიმაია გაზეტა“, 1992 წ. 22.1.№ 13ძ. აი, ჭეშმარიტი ოსი პატრიოტის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მოსაზრება. კომენტარი ზედმეტად მიმაჩნია. სამწუხაროა, რომ ამგვარი სიბრძნე არც ოსმა და არც რუსმა ფუნქციონერებმა არ გაითვალისწინეს. ალბათ წინ მძიმე შედეგს უნდა ველოდეთ.

ბოლო პერიოდში რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვრცელდება აბსურდული მტკიცება: თითქოს 1774 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, რუსეთს შეუერთდა არა ისტორიული ოსეთის ერთი ნაწილი, არამედ „მთელი ოსეთი“. აქ შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილსაც გულისხმობენ, სადაც შემდგომში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა. 2004 წლის 10 ივლისს რუსეთის დუმამ უპასუხისმგებლო, შეიძლება ითქვას, აბსურდული განცხადება გააკეთა, თითქოსდა 1774 წელს ოსეთი ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს. აქედან გამომდინარე საჭიროდ ჩაითვალა, რომ რუსეთმა დაიცვას ოსი მოქალაქეების უფლებები. აქ საქმე გვაქვს ისტორიის ელემენტარულ უცოდინარობასთან. აღვნიშნოთ, რომ იმ დროს გეოგრაფიული ცნება „ოსეთი“ არ არსებობდა. ცხადია, არც ასეთი სახელმწიფო არსებობდა. თვით ოსებსაც, რომლებიც ქართლის მთიანეთში ცხოვრობდნენ, თავი ხიზნებად მიაჩნდათ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსი ჩინოვნიკები ცდილობენ დაამკვიდრონ ხელოვნური ტერმინები „ჩრდილოეთი ოსეთი“ და „სამხრეთი ოსეთი“. XIX საუკუნემდე კი არავითარი საბუთი არ მოიპოვება, რომელიც დაამტკიცებდა, რომ შიდა ქართლის მთიანეთი ოსეთად იწოდებოდა. რეალურად 1774 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა ჩრდილო კავკასიის სამი ხეობის – ალაგირის, ქურთათის და თაგაურის ოსური თემები. მეოთხე თემი – დიგორი ყაბარდოს გამგებლობაში იყო და რუსეთს 1781 წ. შეუერთდა. რაც შეეხება შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს, სადაც შემდგომში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა, ჯერ ერთიანი საქართველოს, შემდეგ ქართლისა და ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფოში შედიოდა განუყოფლად. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე თანდართული მასალები საშუალებას გვაძლევს დაბეჯითებით ვთქვათ, რომ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი და მისი უკიდურესი ჩრდილოეთი პროვინცია დვალეთი ქართლ-კახეთის შემადგენლობაში შედიოდა. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსირების (1801 წ.) შემდეგ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი დვალეთიურთ ერთხანს იმერეთის გუბერნიაში შედიოდა, შემდეგ თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში. 1858 წ. კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრე ბარიატინსკის განკარგულებით დვალეთი „კავკასიის ლინიის“ ოსეთის ოკრუგს გადასცეს. ამგვარად, ჩრდილოეთ ოსეთს მიუერთეს მხოლოდ დვალეთი და არა შიდა ქართლის ის მიწა, სადაც შემდგომში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამოყალიბდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის (1918 წ.ძ შემდეგ (ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის იმპერიაც დაანგრიაძ დვალეთი კვლავ საქართველოში შემოვიდა. 1920 წლის 7 მაისის რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა საქართველო-რუსეთის საზღვარი – იგი კავკასიის მთავარ ქედზე გადიოდა. ამდენად სრულიად ცხადია, რომ შიდა ქართლის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი – დვალეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო.

რუსეთს მიზნად ჰქონდა დასახული შიდა ქართლის შეერთება და ყოველგვარად ცდილობდა ოსებსა და ქართველებს შორის კონფლიქტური სიტუაციის შექმნას. საბჭოთა რუსეთმა ოსეთში და შიდა ქართლში შეიარაღებული აჯანყებების ინსპირირება მოახერხა. მათი მიზანი იყო „სამხრეთ ოსეთში“ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მისი საქართველოსგან ჩამოცილება და რუსეთისთვის მიერთება. შემდეგ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასაც ჩაიგდებდნენ ხელთ. 1920 წელს საბჭოთა რუსეთმა და ბოლშევიკებმა აჯანყებულ ოსებს ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი ე.წ. სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას და ეს ტერიტორია საბჭოთა რუსეთის ნაწილად გამოაცხადეს. ეს აქტი ყველა ნორმის დარღვევით გატარდა: დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, იგნორირებულ იქნა ქართველი მოსახლეობის აზრი და ნება. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1920 წლის 23 მარტის დადგენილებაში ვკითხულობთ: „1. ჩამოყალიბდეს რევოლუციური კომიტეტი სამხრეთ ოსეთში... 2. გამოცხადდეს საბჭოთა ხელისუფლება... 3. დაუყოვნებლივ შეიქმნას შეიარაღებული რაზმი, 4. შევიდეთ კავშირში ჩრდილოეთ ოსეთთან... რევოლუციის კომიტეტის შემადგენლობაში გაიგზავნოს 100 ათასი რუბლი“. არის ასეთი მიმართვაც: „მოსკოვი, რკპ (ბძ, ამხანაგებს ლენინსა და ჩიჩერინს. კავკასიის სამხარეო კომიტეტის 23 მარტის ბრძანების თანახმად, რომელიც დადასტურებულია იმავე კომიტეტის განსაკუთრებული კურიერებით... 8 ივნისს სამხრეთ ოსეთში გამოცხადებულია საბჭოთა ხელისუფლება“. არსებობს სხვა მასალები, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, თუ ვისი კარნახით გააჩაღეს ოსებმა ძმათამკვლელი ბრძოლა. ამდენად საქართველოს ე. წ. „ნაციონალ-შოვინისტური“ მთავრობის დადანაშაულება ოსი ხალხის „გენოციდში“, რბილად რომ ვთქვათ, უზნეობაა.

ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ განხორციელდა საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკური პარტიის მზაკვრული გეგმა – 1921 წლის თებერვალში საქართველო გასაბჭოვდა, რაც ფაქტობრივად ანექსიის (უკვე მეორედძ ტოლფასი იყო. ამით საბჭოთა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. ნიშანდობლივია, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთს ბოლშევიკებმა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური ოლქის სტატუსი მისცეს (1922 წ. აპრილიძ. რაც შეეხება ოსების ისტორიულ სამშობლოს – ჩრდილოეთ ოსეთს, მას ორი წლის შემდეგ (1924 წლის ივლისიძ მისცეს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და იგი რუსეთის შემადგენლობაში დარჩა. ე.წ. სამხრეთ ოსეთში შევიდა მეტ-ნაკლებად ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რაიონები და ხელოვნურად მიმატებული ქართული ქალაქი ცხინვალი (1900 წლის „კავკასიის კალენდრის“ მიხედვით XX საუკუნის დადგომისას ცხინვალში ცხოვრობდნენ, ქართველები, ქართველი ებრაელები და სომხებიძ და მის ირგვლივ მყოფი რამდენიმე ქართული სოფელი. ეს გარკვეული ძალადობით მოხდა და ქართველი მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია (მასალები იხ.წიგნში: „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“, თბ., 1991, გვ.56-73ძ. ავტონომიური ოლქის შექმნამ იმ რეგიონის ქართული მოსახლეობა საკუთარ სამშობლოში ეროვნულ უმცირესობად აქცია, რაც თავის მხრივ ადამიანის და ერის უფლებათა და თავისუფლებათა უხეში დარღვევა იყო.

**რონ მეტრეველი.**
**აკადემიკოსი**

**(დასასრული იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი**
**იხ. „სრ“ № 188-191.**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №130

# სატელევიზიო ნოსტალგია

## სუბიექტურად და ობიექტურად

საღამო, რომელიც შ. დადიანის სახელობის კულტურის სახლში ჩატარდა, ნოსტალგიური განწყობილებები სუფევდა, მონატრებული სახეები და ხმები, ნაცნობი სახეები, ტელეგადაცემები... რა იყო ის ხიბლი, რის გამოც მაყურებელმა ოდინდელი ქართული ტელევიზია შეიყვარა. იქნებ მაშინდელ ტელეჟურნალისტთა პიროვნულობა და ნიჭიერება, რომლებიც დღემდე დასამახსოვრებელ სატელევიზიო პროგრამებს ქმნიდნენ.

ის იყო ე.წ. სახელმწიფო ტელევიზია და მკაცრი ცენზორებიც აკონტროლებდნენ, მაგრამ როგორ ახერხებდნენ თავიანთი პროფესიული და მოქალაქეობრივი პოზიცია მაინც გამოეხატათ, ეს ცალკე საუბრის თემაა.

მთავარია, ისინი უყვარდათ და ტელევიზია ისე, როგორც „ტელევიზორში გამოჩენილი კაცი“ განსაკუთრებულ პრესტიჟულობას ნიშნავდა.

უკანასკნელ წლებში ყველა დარგობრივი რედაქცია გაუქმდა. მათ შორის ხალხური შემოქმედების და მუსიკალური ხელოვნების მთავარი რედაქციები.

უკვე არარსებული რედაქციების ყოფილი თანამშრომლები, მათი ავტორები და თაყვანისმცემლები ცნობილი ტელეჟურნალისტის **სოლომონ ლაფაურის** ხსოვნის საღამოს და მისი წიგნის პრეზენტაციაზე ერთმანეთს გამოხატული ემოციებით შეხვდნენ.

ობიექტური რეალობა, ანუ სატელევიზიო ნოსტალგიის ობიექტური მიზეზი ვეცადეთ მაყურებელთა (თაყვანისმცემელთა) წრეში გაგვერკვია, რომელთაც ერთმნიშვნელოვნად არ მოსწონთ თანამედროვე ტელეინდუსტრია, მოვისმინეთ ტერმინები „ტელეძალადობა“, „ტელეზომბირება“ და ა.შ.

მეორეს დღეს ძალიან მშვიდი საუბარი, ჭიქა ჩაისთან ერთად, ბატონ სოლომონ ლაფაურის მეუღლესთან, მუსიკათმცოდნე **მედეა ქელბაქიანთან** შედგა.

**— ქალბატონო მედეა, ელოდით ასეთ ერთსულოვნებას, რომელიც გუშინ დარბაზში სუფევდა?**

— ადამიანთა ერთსულოვნებას სუბიექტური მიზეზებიც აქვს და ობიექტურიც, ვფიქრობ, აქ ორივე მომენტი თამაშობდა გარკვეულ როლს...

რაც შეეხება საღამოს მოწყობას, გამოგიტყდებით, ვღელავდი, ვეჭვობდი... ვიფიქრე, ამ მძიმე პერიოდში ვისღა ემახსოვრება სოლიკო, როგორ შევაწუხო ადამიანები-თქო, მაგრამ როცა დარბაზს გადავხედე და უადგილოდ დარჩენილი სტუმრებიც შევნიშნე, იმედი მომეცა. არის ჩვენში, ქართველებში, რაღაც ისეთი, რაც საოცრად გვაკავშირებს ცოცხლებსაც და ჩვენგან წასულებსაც. ეს ალბათ სიყვარულია, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით. სწორედ რომ სიყვარული, რომელიც ასე სიღრმისეულად ჩაუტოვებია სოლიკოს ახლობლებში. საღამომ დანიშნულ დროს გადააჭარბა, მაგრამ სათქმელი კიდევ ბევრს დარჩა... უღრმესი მადლობა ყველას!

**— ჩვენი თაობა ნაკლებად იცნობს ბატონ სოლომონს. გვიამბეთ მასზე.**

— წიგნი **„ცისფერი ეკრანი და მუსიკალური ხელოვნება“**, ფაქტობრივად, ქართული ტელევიზიის ისტორიაა. სოლიკო ტელევიზიაში, მისი დაარსების პირველივე პერიოდში მოვიდა და 31 წლის მანძილზე ემსახურა თავის საყვარელ საქმეს. პროფესიით მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტი სათავეში ჩაუდგა ტელევიზიის მუსიკალურ გადაცემათა მთავარ რედაქციას, მოგვიანებით მის მიერ ჩამოყალიბებული და დაკომპლექტებული იქნა ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია. მრავალი წლის მუშაობამ ცხადყო, რომ იგი არ გახლდათ მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებელი, თუნდაც კარგი რედაქტორი. სოლიკო მთელი თავისი არსით, სულისკვეთებით, პრინციპული შემართებით, იყო მოღვაწე. შეიძლება მეუღლისგან ეს სიტყვები აღმატებული მოგეჩვენოთ, მაგრამ მე ზუსტად ვიცოდი, იქ რაც ხდებოდა, რადგან წლების მანძილზე ტელევიზიის სარედაქციო კოლეგიის წევრი ვიყავი და შტატგარეშე ავტორიც... ვხედავდი, რომ იქ არ არსებობდა „ჩემი საქმე“ და „შენი საქმე“. საქმე იყო საერთო...

**— და ეს ყველაფერი მოულოდნელად, უცებ შეწყდა...**

— დიახ, ისე როგორც სხვა ტელეპროფესიონალებს, იძულებით დაატოვებინეს სამსახური. ჩამოაცილეს საყვარელ საქმეს, რისთვისაც იყო ალბათ ამქვეყნად მოვლენილი. მე ვხედავდი, როგორ განიცდიდა ამას. კომიტეტში ცნობილ მოვლენებამდე მუშაობდა. სევდითა და უდიდესი ტკივილით განერიდა ქალაქს. დაუბრუნდა ბავშვობის მშობლიურ სოფელ **კისისხევს**, რომელიც თელავის მახლობლად მდინარე კისის სანაპიროს ჩაუყვება და მოიხსენიება მეოთხე საუკუნიდან. სოფელში მან გაიყოლია დიდი საარქივო მასალა. მიწასთან ჭიდილით ყოველდღე დაქანცული ბრუნდებოდა სახლში. ზამთარში, როცა სოფლის საქმიანობა რამდენადმე მიყუჩდებოდა, მიუჯდებოდა ბუხარს და სანთლის შუქზე გამალებული წერდა, თითქოს დროს ეშურებოდა. ასე დაწერა წიგნი მშობლიურ სოფელზე **„კისისხევი და კისისხეველები“**. თავის პირად არქივს ხშირად უცვლიდა ადგილს. ხან



საღამო მიჰყავს ლია მიქაძეს

მოაფარებდა, ხან კი გამოამზეურებდა... ყოველთვის, როდესაც ამ მასალებს ეხებოდა, ვგრძნობდი, იძაბებოდა, ზოგჯერ სევდანარევი ღიმილი გადაურბენდა სახეზე. დაკვირვებულ თვალს არ გამორჩებოდა მისი თითების ის სიფაქიზე, რითაც უკვე გაყვითლებულ ქაღალდებს ეხებოდა. როცა მათ ჩაჰკირკიტებდა, თითქოს ისევ იქ, ტელევიზიის კაბინეტში, თავის საყვარელ მაგიდას უჯდა და ფიქრით გარდასულ დღეთა მოგონებებში იძირებოდა. სისტემატიურად რაღაც დღიურის მსგავს ჩანაწერებს აკეთებდა. თითქოს კოლეგებს ესაუბრებოდა. ნოსტალგიის დასაძლევად, ჩანს, ეს გზა აირჩია. იხსენებდა იმ დროსაც, როდესაც ფუნიკულიორზე, ერთ პატარა სტუდიაში, ახერხებდნენ თეატრალური დადგმების ჩაწერას, პერიოდს, როდესაც პირველი სატელევიზიო ოპერა საკავშირო არენაზე გაიტანეს. მთელი რედაქციის ერთსულოვანი მუშაობით უამრავი მუსიკალურ-შემეცნებითი გადაცემა მზადდებოდა. სოლიკო მუდამ იგონებდა იმ საფონდო ჩანაწერებს, რომელიც მისი თაოსნობით შემოგვრჩა: **პეტრე ამირანაშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, დები იშხნელები, დავით გამრეკელი, მერი ნაკაშიძე...** ღიმილით იხსენებდა იმ ეპიზოდს, როცა საგალობლების გადაცემის გამო კინაღამ დაითხოვეს სამსახურიდან.

**— საღამოზე საუბრობდნენ, რომ ბატონმა სოლომონმა ბევრი ქართული სიმღერა გადაარჩინა...**

— ფოლკლორული მემკვიდრეობის მოძიება და მოვლა-პატრონობა თავისი ცხოვრების მიზნად აქცია. შემოვლილი ჰქონდა საქართველოს ყოველი კუთხე-კუნჭული. როცა რაიმე საინტერესოს წააწყდებოდა, უნდა გენახათ მისი ბედნიერებით გაბრწყინებული თვალები, ოცნებაასრულებულ ბავშვს ემსგავსებოდა. მოძიებული მარგალიტები კი ხალხური შემოქმედებითი რედაქციის თანადგომით შუქდებოდა ცისფერ ეკრანზე. ასე შეიქმნა ტელეჟურნალები და ციკლური გადაცემები: **„ხალხური სიმღერის უკვდავება“, „მღერის ეთნოგრაფიული გუნდი“, „თვალთაი“, „სულით ძლიერი“, „ქართლის სურათები“, „ფოლკლორული საღამოები“...** ეს უკანასკნელი ალბათ ყველას ახსოვს, რომელსაც რედაქციის მიწვევით, ასე სახიერად უძღვებოდა **ვახუშტი კოტეტიშვილი.** ეს მასალა მთლიანად მუშავდებოდა ხალხური შემოქმედების რედაქციაში, სოლომონ ლაფაურის ხელმძღვანელობით. ამას მინდა ხაზი გავუსვა, რადგან ცოდვაა დაიკარგოს იმ ადამიანთა ღვაწლი, რომელნიც სათავეში ედგნენ ამ დიდებულ საქმეს. **„ფოლკლორული საღამოების“ ყოველ წარმოდგენას ჰყავდა თავისი ავტორი და რეჟისორი, მხატვარი, ოპერატორი, ჩამწერი თუ გადამცემი ჯგუფი, რომელიც ძალზე შრომატევადი საქმიანობით მიემგზავრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მასალების შესაგროვებლად. დიდი მასშტაბების გამო სტუდია აღარ ყოფნიდათ და ქირაობდნენ ან კეთილგანყობილნი უფასოდ უთმობდნენ ამა თუ იმ დარბაზებს თუ თეატრებს. ინიციატორად ყოველთვის იყო ტელერადიოკომიტეტის ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია.**

ძალზე სასიხარულოა, რომ რამდენიმე წლის დუმილის შემდეგ აღადგინეს ამგვარი საღამოები, მაგრამ რატომღაც შეუცვალეს სახელი და „პოეზიის საღამოები“ უწოდეს. მე, როგორც მუსიკათმცოდნე, შევნიშნავ, რომ ისინი შინაარსით იგივეა. ამიტომ უპრიანი იქნება დაუბრუნდეს ძველი სახელი, ეწოდოს კვლავ **„ფოლკლორული საღამოები“,** რადგან მის რეპერტუარში თანაბრად ჟღერს სასიმღერო, საკრავიერი, ქორეოგრაფიული და პოეტური ხალხური შედევრები.

**— საღამოზე ეკრანზე უჩვენებდნენ სახალხო ზეიმებს. საბჭოთა პერიოდი იყო, მაგრამ ის ზეიმები ეროვნული ნიშნით გამოიყურება. როგორ ახერხებდნენ ამას?**

— სოლიკო სახალხო ზეიმების მოწყობის დიდოსტატი იყო და ამას აკეთებდა ძალიან ემოციურად, გადამდები ენთუზიაზმით. ყოველთვის პოულობდა გამოსავალს ექსტრემალურ სიტუაციაში. ხალხთან საერთო ენას პოულობდა, სცენარებს წერდა ოპერატიულად. თუ ხელთ არ ჰქონდა სათანადო, თემატურად შესაბამისი მასალა, ვთქვათ, პოეზიის ნიმუში, თავად თხზავდა ლექსს და დაურთავდა ხოლმე. ასეთი აუცილებლობით განპირობებული ლექსები მრავლად მოიპოვება მის არქივში.. მის ლექსებზე რამდენიმე სიმღერაც არის შექმნილი და საკმაოდ გახმაურებული. ყოველწლიური სახალხო ზეიმები ტარდებოდა ტანძიაში – **„საბაობა“,** გარეჯში – **„გარეჯობა“,** ვარინკა წერეთლის სოფელ ცხრაწყაროში **„სულიკო“, „შაირსიტყვითა მესტვირემ“** (მესტვირული პოეზიის საღამო) და სხვა.

მასალების ნაწილს არქივში ინახავდა და მოგონებებით ცხოვრობდა. ერთ დღეს აიღო ხელში კალამი და დაწერა: **„დრო უხილავი რაშივით მიჰქრის და ჩემი თაობის ნაფიქრალ-ნაღვაწსაც უკვე წარსულად აქცევს. ულმობელი დავიწყების მტვერი ეყრება. ცოდვაა საქართველოს ტელევიზიის საწყისი წლების ისტორია დავიწყების ბურუსში გაეხვიოს“...** და მან დაწერა მემუარულ-ანალიტიკური ხასიათის წიგნი „ცისფერი ეკრანი და მუსიკალური ხელოვნება“.

განსაკუთრებული მადლობა ლიტერატურისმცოდნე ნინო ხოფერიას, რედაქტორს, ვისი დიდი მონდომებით გამოიცა ეს კრებული. თავად სოლიკომ მოასწრო და მითხრა: „ამ გოგოს მეტი პატრონი არ მყოლიაო“...

წიგნს ახლავს ასეთი წარწერა: **„ვუძღვნი ჩვენი დიდი ოჯახის – რადიო-ტელეთანამშრომლების ხსოვნა-სიყვარულს“.**

პრეზენტაციაზე სწორედ ტელე-რადიოთანამშრომლების დიდი სიყვარული ვიგრძენი მისადმი, ხშირად გამიგია კომპოზიტორებისგანაც გულისტკივილით ნათქვამი: **„ჩემო სოლომონ, რაც შენ წახვედი, ქომაგი აღარ გვყავსო“...** მართლაც, დიდი შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა კომპოზიტორთა კავშირთან და ეს საღამოზეც იგრძნობოდა. სცენაზე მოგონებებით, საკონცერტო ნომრებით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მომღერლები, მუსიკოსები, ლოტბარები... თითოეული იმათგანი დღეს დიდი ხელოვანია... მადლობა მათ... დიდი მადლობა ტელევიზიის ყველასათვის საყვარელ დიქტორს – **ლია მიქაძეს** თანადგომისათვის, პროფესიონალიზმისთვის, რომელსაც მიჰყავდა ეს საღამო...

სოლომონის წიგნად აკინძული მოგონებები, თუ როგორ ყალიბდებოდა პირველი ქართული ტელევიზია, ჩვენმა ოჯახმა მადლიერებით გადასცა რადიოტელევიზიის თანამშრომლებს. ალბათ დადგება დრო და ქართული ჟურნალისტიკის ისტორია მათ ღვაწლსაც სათანადოდ შეაფასებს.

**ესაუბრა**
**ლია მესხი**

# მისი კუნძული





**„ამ კუნძულის ბინადართა შორის დიდ წინაპართა სახეები სჭარბობს. ბევრს, ცხადია, არ მოვსწრებივარ, მაგრამ მათ დანატოვარ შემოქმედებით მემკვიდრეობასთან ერთად ვცხოვრობ... კუნძულზე ჩემი თანამედროვენიც დავასახლე – ის ადამიანები, რომელთაც გარკვეული კვალი დააჩნიეს ჩემს ცნობიერებასა და ფსიქიკას...“**

**ქალბატონ ᲗᲘᲜᲐ ᲔᲚᲑᲐᲥᲘᲫᲘᲡ** განსაკუთრებული ხვედრია ამ გზით, ამ საშუალებით გადაირჩინოს თავი. ბევრმა მისმა კოლეგამ ვერ გაუძლო „ჩვენი დღეების პროზას“. სახე და ფერი იცვალა ან განურჩევლობის განცდით შეერია ნაცრისფერ ყოველდღიურობას...

გადის წლები და მიუხედავად იმისა, რომ აღარც სცენიდან, აღარც რადიოეთერიდან გვესმის ქალბატონ თინას გულშიჩამწვდომი, **„ჭკვიანი“** ხმა და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დროების ლოგიკის თანახმად, იგი სწორედ ღირსებისა გამო კულისებს მიღმა დარჩა, **მაინც ყველაზე მდიდარია მსახიობთა თუ რადიოს ძველ და ახალ თანამშრომელთა შორის: მას საკუთარი კუნძული აქვს!...**

იმ მშვენიერ კუნძულზე მას თან ახლავს ძვირფასი სტრიქონები, განუმეორებელი ურთიერთობების მოგონებები, ღირებულებები, რომელიც, როგორც თავად ამბობს, „აუცილებლად უნდა გადარჩეს“...

ძალიან ძნელად მისაღწევია ის სისადავე და უბრალოება, რასაც თინა ელბაქიძის ფენომენი ჰქვია. თაობანი უსმენდნენ რადიოთი მისი ხმის დამამშვიდებელ, იმედისმომცემ ინტონაციას, ტემბრს, სიღრმეებით გადმოცემულ აზრს...

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მისი **„ერთი მსახიობის პუბლიცისტური თეატრი“** ღირებული გახლდათ იმითაც, რომ ამბობდა ზუსტად მოძებნილ, საჭირო სიტყვებს მაშინ, როცა ამისთვის ნიადაგი მზად იყო. ეს რაღაც უჩვეულო, ბარიკადების მსგავცისტური, პოეტური, მემუარული წიაღსვლებით... აქ არის წარსულიც და აწმყოც, წინაპრებიც და თანამედროვეობაც, ანუ ერთ მთლიანობად ქცეული დრო.

მკითხველთა წინაშე წარსდგა თინა ელბაქიძე – ლიტერატურულ-პუბლიცისტური კომპოზიციების ავტორი, მემუარისტი, პუბლიცისტი... პიროვნება, რომელიც დროში გამოცდილ სულიერ საყრდენებს გვთავაზობს...

ჩვენ სრულიად ნათლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ხან ჭაღებით გაჩახჩახებულ, ხან პატარა კამერულ დარბაზებში ვსხედვართ, ხანაც ოთახში, სადაც წინაპართა რელიკვიები აწყვია და კი არ ვკითხულობთ, თითქოს ვუსმენთ... ჩვენ უეცრად ვხდებით დიდი ან მცირე აუდიტორიის ნაწილი და ჩვენივე მზესი ტრიბუნა იყო – აკადემიური, ემოციური და ამავე დროს, საბრძოლოდ შემართული... სხვადასხვა კონტექსტში, კომპოზიციებში სთავდა ილიას, აკაკის, ვაჟას, ნიკო ლორთქიფანიძის, გალაკტიონის, გურამ ასათიანის და მრავალ სხვათა მნიშვნელოვანზე მნიშვნელოვან სტრიქონებს...

დაძაბული ვუსმენდით. გულწრფელად ვიტყვი: **ეს იყო ჩვენი თაობისთვის ერთ-ერთი გასაღები – სხვა ცნობიერებისთვის, სიბნელეში მოარულნი, ხელის ცეცებით რომ ვეძებდით... წლების მერე მადლობა მას... ვფიქრობთ, მადლობის თქმა დაგვიანებული არასდროს არ არის...**

* * *

ᲡᲐᲛᲘ წიგნი, რომლებიც ქალბატონმა თინამ ბოლო ხანებში გამოსცა, გარეგნულად თითქოს ხაზგასმულად უბრალოა. არავითარი გარეგნული ეფექტი. შეიძლება ამაშიც თავისებური აზრია – გარეგნულის ნიველირება შინაარსის ფონზე.

იქნებ დღეს წიგნიც გარეგნულად ზუსტად ისე უნდა გამოიყურებოდეს, როგორც ჩვენი დროის ინტელიგენტი... ვინ იცის...

ჟანრობრივი თვალსაზრისით, ეს უჩვეულო კრებულებია – პუბლირა, ქალბატონ თინას სიტყვების ძალით, სადღაც შორსაა მიმართული... იქნებ მისი კუნძულისაკენ...

* * *

„ᲙᲕᲘᲠᲐᲫᲐᲚᲘᲡ“ მკითხველს ამჟამად სულ სხვა ხასიათის მასალას ვთავაზობთ – ქალბატონ თინა ელბაქიძის საარქივო ჩანაწერებს უბის წიგნაკიდან. *„ჩანაწერებიც და დღიურების დიდი უმრავლესობა გავანადგურე. რატომ? არ ვიცი. ზოგჯერ პატარა მიზეზიც საკმარისია სისულელის ჩასადენად“...* (მსუბუქი ავტოირონია ავტორის სასარგებლოდ განგვაწყობს, მაგრამ გული გვწყდება იმაზე, რაც რატომღაც განადგურდა...).

* * *

***ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘ მაშინ დაგიჯერებს ნათქვამს, თუ ეს ნათქვამი შენია, შენი საკუთარი აზრია. ამიტომ არის საჭირო ხანგრძლივი შრომა, რომ სხვისი აზრი გაითავისო და დაგავიწყდეს კიდეც, რომ ავტორი შენ არ ხარ.***

* * *

***ყოველი საღამოს შემდეგ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მძიმე ტვირთი მოვიხსენი, რადგან „ტყვეობიდან“ გავათავისუფლე აზრები, სიტყვები, გრძნობები და სიხარული მივანიჭე მათთან შესახვედრად მოსულ ადამიანებს.***

* * *

*ᲔᲠᲗ კაცზე მითხრეს „წარმატებული კარიერა ხომ გაიკეთა, გვარიანი ქონებაც დააგროვაო“...*

*მერე რა? სხვაზე ბედნიერია ვითომ?*

* * *

*ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔᲛ დამიბარა უნივერსიტეტში. შეწუხებული იყო – როგორ გაგანთავისუფლეს რადიოდან, სინდისი სულ დაკარგესო?*

*კარგა ხნის საუბრის შემდეგ მითხრა: – მინდა ჩვენს კათედრაზე იმუშაო, ცალკე ოთახი გექნება წარწერით: „თინათინ ელბაქიძის სახელოსნო“. მე ჩემ „უნიჭო“ სტუდენტებს ჩაგაბარებ, შენ კი პატრიოტებს დამიბრუნებ, ოღონდ არა ურაპატრიოტებსო.*

*მაგრამ, სულ მოკლე ხანში, თავად ბ-ნ ნუგზარს მოუხდა კათედრის (ჟურნალისტიკის) დატოვება და ეს კეთილშობილური სურვილი მხოლოდ სურვილად დარჩა.*

* * *

*ᲙᲐᲬᲐᲠᲔᲗᲘᲡ აღდგენილ ეკლესიაში საღამო ჩავატარე ანსამბლ „მთიებთან“ ერთად. საღამოს დასრულებისთანავე, სცენაზე შავით მოსილი ხანდაზმული ქალი ამოვიდა, უსიტყვოდ დაიჩოქა, კაბის კალთაზე მემთხვია და ატირდა. ძლივს ავაყენე, გულში ჩავიკარი და მეც ავტირდი.*

*რა უძლური იყო სიტყვა იმის გამოსახატავად, რასაც ორივენი ვგრძნობდით.*

*ხალხიც დუმდა. მხოლოდ დიდი პაუზის შემდეგ გაისმა ტაში.*

*კაწარეთელებმა იქვე, ახლოს, ტყეში გაშლილ სუფრასთან მიგვიწვიეს. როცა ჩემი სადღეგრძელოს ჯერი დადგა, ერთმა ახალგაზრდა გლეხმა უჩვეულოდ დამლოცა: – ქალბატონო თინა, მაგ ხეს (გვერდით მდგომ ნორჩ ხეზე ხელი მქონდა შემოხვეული) ისე მოვუვლი, როგორც არასოდეს, არც ერთ ხეს არ ღირსებიაო. მერე სიმღერა წამოიწყო, სხვებიც აჰყვნენ, მღეროდნენ და რას მღეროდნენ... „მთიების“ ბიჭები ამბობდნენ: – არა, ძმაო, ამათ შემდეგ ჩვენ აღარ უნდა გავბედოთ სიმღერაო.*

*რამდენი ასეთი დაუვიწყარი დღე მახსოვს, რამდენი ასეთი ბედნიერი წუთი...*

* * *

*ᲥᲐᲠᲔᲚᲨᲘ შეხვედრა მომიწყვეს, როგორც მათი რაიონის დეპუტატობის კანდიდატს. ბოლოს, ცხადია, მე მომცეს სიტყვა, მადლობა მოვახსენე ნდობისათვის, სიკეთე და ბედნიერება ვუსურვე და ვთხოვე, ხმა არ მოეცათ, რადგან ვერაფერს გავუკეთებდი, გარდა იმისა, რომ მხოლოდ შუამავალი ვიქნებოდი მათსა და პარლამენტს შორის. პარლამენტი კი რასაც გააკეთებდა მათთვის, ეს ჩემზე კარგად იცით.*

*სიცილით დაიხოცნენ – ასეთი რამ პირველად გვესმისო. მერე ერთი-ორი კარგი პუბლიცისტური წერილი წავუკითხე და დავპირდი – როცა ისურვებდნენ, მთელი პროგრამით ვეწვეოდი.*

*მოკლე ხანში ისევ მიმიწვიეს და დიდებული შეხვედრაც მომიწყვეს.*

* * *

*ᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲐ – აი, რა მწამს ყველაზე მეტად. ამიტომ დიდი უბედურების დროსაც არ ვქმნი ტრაგედიებს. უკიდურესი ტკივილიც კი, ქვეშეცნეულად (იქნებ დაუჯერებელია) საპირისპირო გრძნობასაც მანიჭებს. სწორედ მაშინ ვხედავ და ვგრძნობ საკუთარ თავს.*

* * *

*ᲨᲔᲛᲫᲠᲐ აკაკის ლექსმა „სოდომი“, რომელიც 1914 წელს დაუწერია.*

*„ᲜᲣ ᲛᲘᲘᲮᲔᲓᲐᲕ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ*<br>*ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ,*<br>*ᲗᲝᲠᲔᲛ ᲒᲐᲥᲕᲐᲕᲓᲔᲑᲘᲗ.*<br>*ᲕᲘᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲘᲐ ᲓᲐ*<br>*ᲕᲘᲜ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ*<br>*ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲠᲩᲔᲕᲗ,*<br>*ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗ*<br>*ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲝᲓᲝᲛᲘᲐ,*<br>*ᲡᲐᲓᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠᲔᲣᲚᲘᲐ,*<br>*ᲡᲐᲓᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ,*<br>*ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ.*<br>*ᲜᲣ ᲛᲘᲘᲮᲔᲓᲐᲕᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗ*<br>*ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ,*<br>*ᲒᲐᲥᲕᲐᲕᲓᲔᲑᲘᲗ“...*

# ქართულ ჯარზე სხვადასხვა დროის თქმული

ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲔᲚᲘ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ **ᲟᲐᲙ ᲓᲔ ᲕᲘᲢᲠᲘ** ᲯᲕᲐᲠᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲐᲡ ᲗᲕᲚᲘᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗ ᲒᲖᲐᲓ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲗᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲡᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲛᲐᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲞᲡ. ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲯᲕᲐᲠᲝᲡᲐᲜ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲗᲐ ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲭᲠᲔᲚᲔ: ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘ, ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲔᲑᲘ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ, ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲩᲘᲐ...



1219 ᲬᲔᲚᲡ ᲙᲐᲠᲓᲘᲜᲐᲚᲛᲐ ᲞᲔᲚᲐᲒᲘᲣᲡᲛᲐ, ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲞᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ, ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲔᲚᲝᲗ ᲯᲕᲐᲠᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲡᲘᲠᲘᲐ-ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲔᲒᲖᲐᲕᲜᲐ.

ᲟᲐᲙ ᲓᲔ ᲕᲘᲢᲠᲘ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲚᲐᲨᲐ-ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲚᲩᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲨᲘ **„ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ“** ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲐ: **„ისინი არიან ფრიად მედგარნი და მამაცნი ბრძოლაში. ძლიერნი სხეულით და ძლევამოსილნი მხედართა ურიცხვი რაოდენობით. მათ სასტიკად დაშინებულნი ჰყავთ სარკინოზები, თავისი თავდასხმებით ხშირად აყენებენ ზიანს სპარსელებს, მიდიელებს და ასირიელებს, რომელთაც ესაზღვრებიან, მთლიანად გარშემორტყმულნი ურჯულო ხალხებით. მათ ეწოდებათ გეორგიანები, რადგანაც განსაკუთრებულ პატივსა და თაყვანს სცემენ წმინდა გიორგის, ვისაც თავის მფარველად და მედროშედ თვლიან ურჯულოებთან ომებში და ადიდებენ ყველა სხვა წმინდანზე მეტად.**

**ყოველთვის, როცა გეორგიანები ეწვევიან სალოცავად უფლის საფლავს, ისინი შემოდიან წმინდა ქალაქში გაშლილი დროშებით და არავის უხდიან ხარკს. სარკინოზები ვერ ბედავენ მათ შეწუხებას, რამეთუ შინ დაბრუნებულთ შეუძლიათ შური იძიონ თავიანთ მეზობელ სარკინოზებზე. მათი კეთილშობილი ქალები ამორძალთა დარად, შეიარაღებულნი იბრძვიან რაინდთა მხარდამხარ“.**

* * *

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲔᲚᲩᲛᲐ **ᲐᲠᲢᲔᲛ ᲕᲝᲚᲘᲜᲡᲙᲘᲛ** ᲛᲝᲐᲮᲡᲔᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲗᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡ: **„საუკეთესოდ მიმაჩნია ქართველთა ჯარი“...**



* * *

1027 ᲬᲔᲚᲡ ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲛᲘᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲜ ᲒᲝᲓᲔᲠᲘ ᲬᲔᲠᲓᲐ: **„ქართველები ყველაზე მამაცი ხალხია აღმოსავლეთში“...**

* * *

**ᲐᲮᲚᲐ ხშირად გაიგონებთ: „ქართველ ჯარისკაცს ომი არ წაუგია“, მაგრამ ეს თავის მართლებაა. როცა კაცი იძულებულია თავი იმართლოს, მისი საქმე წამხდარია. საქართველო დამარცხდა, მან დიდი ტერიტორია დაკარგა. მაშასადამე, ქართველი ჯარისკაციც დამარცხდა ქართველი ოფიცერიც, ქართველი გენერალიც, ქართველი გლეხიც, მუშაც და ინტელიგენტიც. ხელისუფლება ხომ დამარცხდა და დამარცხდა. ეგ სხვაა, დამნაშავე ვინ არის დამარცხებაში. ამას ძიება, კვლევა, ანალიზი არ სჭირდება. როცა ესა თუ ის ქვეყანა ომში მარცხდება, დამნაშავე ერთია – ხელისუფლება. ეს დიდი ხანია დადგენილია.**

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ

ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ
ᲜᲘᲜᲝ ᲮᲝᲤᲔᲠᲘᲐ
ᲓᲐ ᲙᲐᲮᲐ ᲥᲝᲠᲘᲫᲔ

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მწარე სიმართლე საქართველოსთვის



**ნატო დაიბნა კავკასიის კონფლიქტებში. ახლა ალიანსმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა უთხრას თბილისის მთავრობას, რომ ქვეყანა ვერ გახდება ნატოს წევრი.**

ევროპას შეუძლია თავისუფლად ამოისუნთქოს. რუსეთმა შეასრულა თავისი სიტყვა და გამოიყვანა თავისი ჯარები საქართველოს ტერიტორიის „ბირთვული ნაწილიდან“. ახლა იწყება ძნელი სამუშაო კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების გზების საძიებლად, კონფლიქტისა, რომელიც ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ვრცლად, თუ უფრო ზუსტად განვიხილავთ, მთელი კავკასიის ტერიტორიაზე უფრო ვრცლადაც. საკითხი შეეხება ევროპაში უშიშროების პოლიტიკის განბალანსებას მას შემდეგ, რაც მოსკოვმა აღარ ისურვა უსიტყვოდ შერიგებოდა ნატოს შემდგომ წინსვლას მისი საზღვრებისკენ.

ვინაიდან არავის არ სურს ევროპაში „სიცივე“, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთთან „ცხელ“ კონფრონტაციაზე, გზა, რომელზეც გაიარა საფრანგეთის პრეზიდენტმა, ევროკავშირში დღევანდელმა თავმჯდომარემ ნიკოლა სარკოზიმ, არის გონივრული, ვინაიდან იგი ერთადერთი გზაა, რომლითაც შეიძლება იარო. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გამოყოფა საქართველოსგან მიუღებელია.

მაგრამ ვისაც არ სურს „გაკაჟება“ ურთიერთანტაგონიზმში, ის უნდა გამოვიდეს იმ ფაქტორებიდან, რაც ომმა შექმნა.

როდესაც იკისრეს მშვიდობის მოწესრიგების უშუალო მისია და ახორციელებენ ევროკავშირის მეთვალყურეთა ძალების კონტროლს, ევროპელები აღმოჩნდნენ მდგომარეობაში, რაც მათ საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინონ ამჟამად დაწყებულ მოლაპარაკებათა გაფორმებაში მოსკოვთან. ეს მოლაპარაკებანი იქნება რთული, მაგრამ არა უპერსპექტივო.

რუსეთის პრეზიდენტმა ახლახან გაიმეორა და დააზუსტა თავისი წინადადება იმის შესახებ, თუ როგორ წარმოუდგენია მას ევროპის უშიშროების ახალი არქიტექტურა. ახლა უნდა მოვთხოვოთ მას მის მიერვე მიცემული სიტყვის შესრულება. მოსკოვს სჭირდება მოლაპარაკებანი, ვინაიდან მას მიაჩნია, რომ მის ინტერესებს უშიშროების სფეროში უგულებელყოფენ. თუ რამდენად აქვს მხედველობაში რუსეთს მშვიდობიანი და პარტნიორული გადაწყვეტილება, შეიძლება გავიგოთ მხოლოდ მოლაპარაკების დროს.

ამავე დროს ევროპელებს აქვთ კიდევ ერთი პრობლემა. ნატო დაიბნა ქართულ კონფლიქტში. მოსკოვთან მოლაპარაკების ძაფის გაწყვეტა ისევე უგუნურებაა, როგორც განუკითხაობა – გაეგზავნოს საქართველოს თავდაცვის მინისტრს დემონსტრაციული მოწვევა ბუდაპეშტში დღევანდელ ნატოს შეხვედრაზე. თბილისთან თითქმის ბრმა სოლიდარობის გამოჩენით ალიანსმა შეძლო თავისი თავის გამოყვანა დიპლომატიური თამაშიდან. ეს უკვე საკმაოდ ცუდია. მაგრამ უფრო ცუდია ის, რომ თავად ნატოს შიგნით მწიფდება ახალი კონფლიქტი რუსეთთან. გაზაფხულზე ნატოს სახელმწიფოები თავიანთ სამიტზე დაჰპირდნენ საქართველოს ალიანსში წევრობას, მაგრამ გერმანიისა და საფრანგეთის ზემოქმედების შედეგად უარი თქვეს შესვლის კონკრეტული ვადების დაწესებაზე. საჭირო გახდა ნახევარი წელი იმის შესამოწმებლად, არის თუ არა საქართველო საკმაოდ მომწიფებული შემდეგი ნაბიჯისთვის ნატოს მიმართულებით. ის, რაც საქართველოს ომის დაწყებამდე ითვლებოდა სოლომონის გადაწყვეტილებად დავისა ნატოსთან საქართველოს დაახლოების მომხრეებსა და სკეპტიკოსებს შორის, ამჟამად ახდენს უდიდესი პოლიტიკური დილემის პროვოცირებას.

თუ ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრები თავიანთი შეხვედრის დროს დანებდებიან აღმოსავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ზემოქმედებას და მიიღებენ ქართველებს წევრობისთვის მზადების მოქმედების გეგმაში, მაშინ მოსკოვმა ეს უნდა მიიღოს, როგორც შეურაცხყოფა თავის მისამართით. მაგრამ თუ ნატო უარს იტყვის ქართველთა მგზნებარე სურვილზე ნატოში შესვლასთან დაკავშირებით, მაშინ ნატოს ბრალს დადებენ იმაში, რომ მან „კუდი ამოიძუა“ რუსეთის წინაშე. ჯერჯერობით მოკავშირეები სდუმან, ვინაიდან არ იციან, თუ რა უპასუხონ საქართველოს. მაგრამ დუმილი საქმეს არ უშველის და საკითხი შეეხება იმას, რომ სიკეთე გაუკეთონ ქართველებს, თუ მუხლებზე დაეცნენ რუსების წინაშე.

იმან, ვისაც სურს, რომ გაიმართოს სერიოზული მოლაპარაკება ევროკავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის უშიშროების სტაბილური არქიტექტურის საკითხებზე, უნდა შეინარჩუნოს სტატუს-კვო. თითოეული ნაბიჯი, რომელიც მიზნად ისახავს ნატოს გაფართოების ახალ ეტაპს, გაკეთდებოდა არა სწორი მიმართულებით. სარკოზიმ აიტაცა მედვედევის წინადადება და სურს გაისად დაიწყოს მოლაპარაკებანი. ამიტომ საქართველოს გულღიად უნდა ვუთხრათ, რომ მისი სურვილი ალიანსში შესვლაზე ამჟამად, თუ საერთოდ არა, არ შესრულდება. კარგი იქნებოდა, თუ ნატო ახლა მაინც გამოძებნიდა თავის თავში ვაჟკაცობას.

**მარტინ ვინტერი**

Süddeutsche Zeitung

# აშშ-ს ახალი ახლო მეგობრები სჭირდება

**იმ დღის შემდეგ, როდესაც ამერიკელები და ბრიტანელები ხელიხელჩაკიდებულნი უტევდნენ ნორმანდიის სანაპიროს, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი მეგობრობენ განსაკუთრებული სიახლოვით. ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებთ საიდუმლოებებს. მივდივართ ერთმანეთთან დასახმარებლად, როდესაც ეს საჭიროა. ვენდობით ერთმანეთს.**

ეს ყველაფერი კარგია და შესანიშნავი. მაგრამ ამერიკამ დროა მიმოიხედოს ირგვლივ და მოძებნოს „დამატებითი“ ახლო მეგობრები. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი ძველი მეგობრები აღარ იქცევიან მეგობრულად – ახალი მეგობრები კი თავს მიგდებულად გრძნობენ.

ავიღოთ, მაგალითად, პოლონეთი. დიდ ბრიტანეთსა და ავსტრალიასთან ერთად პოლონეთი მონაწილეობდა ერაყში ძირითად საბრძოლო ოპერაციებში, ამჟამად კი ზრდის თავის ყოფნას ავღანეთში, რასაც ნატოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ ძველებურად ჩვენ აღარ ვაძლევთ ვარშავას იგივე სავიზო წესებს, რაც აქვთ ნატოს მხრივ ჩვენს სხვა მოკავშირეებს. ამავე დროს ჩვენ გვახასიათებს განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ პოლონელთა საფუძვლიანად დასაბუთებულ შიშს რუსეთის გამო.

მეორე ახალი მეგობარი, საქართველო, ნაწყენია ყველაზე მეტად. ქართველები აგზავნიან ჯარებს ერაყში, მაგრამ, როდესაც რუსები შეიჭრნენ მის ტერიტორიაზე, საქართველოს მოუწია დასჯერებოდა საფრანგეთთან მოლაპარაკებას და არა ჩვენთან.

რაც შეეხება ჩვენს ძველ მეგობრებს, გერმანიასა და საფრანგეთს, გარდა საჯარო გამოსვლებისა ერაყში ოპერაციის წინააღმდეგ, ისინი, არსებითად, ხელს უშლიან ამერიკის შეერთებულ შტატებს სხვა სფეროებშიც. ისეთი ნამდვილად მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორიცაა რუსეთის საქართველოში აგრესიის საწინააღმდეგო მოქმედებანი და ირანის ბირთვული პროგრამა, ისინი თავიანთი მოქმედებით არ იძლევიან საშუალებას შეიქმნას ერთიანი ფრონტი, რომელიც მოახდენდა ძლიერ საერთაშორისო ზემოქმედებას.

მხოლოდ გასულ კვირას სანქტ-პეტერბურგში გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის მხარდაჭერით განაცხადა, რომ ამჟამად „ჯერ არ დამდგარა დრო“ საქართველოს ნატოში შესვლის მექანიზმის ამოქმედებისთვის, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატები სწორედ იმედოვნებდა, რომ ნატო განიხილავდა ამ საკითხს.

მედვედევმა ვერ შეძლო თავისი ზეიმის დაფარვა და ისე შორს შევიდა, რომ განაცხადა: ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური ლიდერის ერა დასასრულს უახლოვდება, ხოლო დღევანდელი „მსოფლიო უშიშროების სისტემა“ არ მუშაობს.

დროა ვუჩვენოთ მედვედევს, რომ ის სწორი არაა. დროა ამერიკის შეერთებული შტატები გახდეს უფრო გონიერი ახალი მეგობრული კავშირების ასაშენებლად ახლო მეგობრებთან და ახალი მეგობრების შესაძენად, აგრეთვე ამ ურთიერთობათა ინტეგრაციისთვის ახალ გლობალურ სტრატეგიაში.

დავიწყოთ პოლონეთით, ბალტიისპირეთით და საქართველოთი. პოლონეთთან და აღმოსავლეთ ევროპაში ჩვენ სხვა მოკავშირეებთან ურთიერთობაში სავიზო რეჟიმის შემსუბუქების გარდა, ჩვენ მეტი უნდა ვიმუშაოთ სამხედრო გეგმებზე გაუთვალისწინებელი ვითარებების შემთხვევაში, აგრეთვე ვაწარმოოთ უფრო მეტი სამხედრო სწავლებანი არა მხოლოდ პოლონეთის მონაწილეობით, არამედ ბალტიისპირა ქვეყნების მონაწილეობითაც.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, ალბათ, მოუწევს მისცეს პოლონეთს, ბალტიისპირეთსა და ნატოს სხვა სახელმწიფოებს უშიშროების განსაკუთრებული გარანტიები ამ რეგიონში, განსაკუთრებით თუ აღმოჩნდება, რომ საფრანგეთი და გერმანია უგულებელყოფენ თავიანთ ნატოსეულ ვალდებულებებს. იგივე უნდა გავრცელდეს საქართველოზეც, თუ რუსეთი შეძლებს მისი ნატოში შესვლის დაბლოკვას.

ევროპა ერთადერთი ადგილი როდია დედამიწაზე, სადაც ჩვენ უნდა ვეძებოთ ახალი მეგობრები. ახლა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინდოეთს შორის ხელშეკრულების დადების შემდეგ ბირთვული ენერგეტიკის დარგში, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა განვავითაროთ ახლო ურთიერთობანი ინდოეთთან, რაც მსოფლიოს ორ უდიდეს დემოკრატიას მისცემს საშუალებას ხელიხელჩაკიდულებმა გადაწყვიტონ საერთო პრობლემები.

ეს შეიძლება გაკეთდეს არა მხოლოდ ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობის გაძლიერებით, არამედ „სტრატეგიული პარტნიორობის“ ოთხმხრივი ინიციატივის აღდგენისა და შემდგომი განვითარების დახმარებითაც, პარტნიორობისა, რომელიც გაფორმდა 2007 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებსა, იაპონიას, ავსტრალიასა და ინდოეთს შორის.

შარშან ეს პერსპექტივა მრავლისაღმთქმელი იყო, მოეწყო კიდეც სამხედრო სწავლებები ინდოეთის ოკეანეში. ამჟამად, შეიძლება, მოგვიწიოს დავარწმუნოთ ავსტრალიის დღევანდელი მთავრობა, რომ მჭიდრო თანამშრომლობის თავად იდეა ინდოეთთან უშიშროების საკითხებზე ძველებურად გვეჩვენება მეტად მიმზიდველად.

ინდოეთმა უკვე შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი ავღანეთის რეკონსტრუქციასა და აღდგენაში. კოალიცია ნატოს მეთაურობით უნდა მიესალმოს ინდოეთის მონაწილეობას და ხელი შეუწყოს მას ამ საქმეში.

ინდოეთმა უკეთესად, ვიდრე სხვა ვინმემ, იცის, თუ როგორ მიაღწიოს დემოკრატიულ სტაბილურობას მრავალეროვან განვითარებად ქვეყანაში. სხვათა შორის, ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ ინდოეთთან ურთიერთობაში, რათა პაკისტანს არ განუვითარდეს პარანოიდი.

ჩვენ გვჭირდება „დიდი მეგობრების“ ახალი გლობალური ქსელი – თუნდაც იმისთვის, რომ დავუმტკიცოთ მედვედევს, რომ ის არ არის სწორი.

ამერიკის ერა არ დამთავრებულა.



The Washington Times

პერიოდიკა

# როცა შურისძიება გამართლებულია

## „ჩვენი მწერლობის“ ახალი №19

ლიტერატურა რომ სულიერად გაპურებს და თავსაც შეგაქცევინებს, ამის თვალნათლივი დასტური ჟურნალი „ჩვენი მწერლობაა“ (რედაქტორი როსტომ ჩხეიძე). ახალი, მეცხრამეტე ნომერი კვლავაც გამოირჩევა ჟანრობრივი სიუხვითა და მრავალფეროვნებით.

ყურადღებას იქცევს „ერი და ბედისწერის“ რუბრიკით დაბეჭდილი **ქეთევან ხითარიშვილის** ესქატოლოგიური პათოსით გაჟღენთილი სტატია — **„უფლის მეორედ მოსვლის იდეა“**. ავტორი „წმინდა ნინოს ცხოვრებასა“ და სხვა ჰაგიოგრაფიულ ტექსტებზე დაყრდნობით საუბრობს საქართველოში უფლის მეორედ მოსვლის მოლოდინის ტრადიციაზე.




წერილის თვალსაზრისთა ერთ-ერთ „ნეტარ მორწმუნედ“ ჩანს **მალხაზ ივანიძე,** რომელიც თავის „პირველ შთაბეჭდილებაში“ ამ მოლოდინის რწმენას ალალად და პირველქრისტიანთა შეურყეველი უეჭველობით გამოთქვამს.

ამ ნომერში გრძელდება **გივი ალხაზიშვილის** რომანის — **„მომავალი წარსულის“** ბეჭდვა. მწერალი ჰყვება იმ სიცრუესა, მლიქვნელობასა და პირფერობაზე, რომელმაც მწერალთა კავშირი დაარღვია და დაშალა, რაც კანონზომიერი იყო და ამიტომაც სასინანულოდ მხოლოდ ფსევდომწერლებს დარჩათ.

თანამედროვე პოეზიაც უხვადაა წარმოდგენილი. **ქეთევან შენგელიას** ლექსები ყურადღებას იქცევს ფორმის სისადავითა და აზრის სიღრმით.

**გენადი მარგველაშვილის** პოეზიაში ყურადღებას იქცევს სონეტების ფორმის ერთგულება. ავტორი ახერხებს ამ ელეგანტური და დახვეწილი ტრადიციული ფორმით ზუსტად გამოთქვას ტკივილი თუ სიხარული.

ჟურნალის ამ ნომერში სრულდება ბეჭდვა **როსტომ ჩხეიძის** ახალი ბიოგრაფიული ჟაიდის რომანის **„ტერასაზე ელსინორისა“**. ავტორი ჩვენი ეპოქის კლასიკოსის, ოთარ ჩხეიძის შემოქმედებით ლაბორატორიაში შეგვახედებს, წარმოაჩენს იმ საფუძველსა და საძირკველს, რომელზედაც მწერლის უზარმაზარი შემოქმედებითი სამყარო წამომართული.

როსტომ ჩხეიძის მრავალმნიშვნელოვანი დაკვირვებების ერთ-ერთი დასკვნა ამგვარია: **„შურისძიების ერთადერთ გზად ქართულ საბჭოთა რეალობაში ისღა რჩებოდა, არ ჩანთქმულიყო გამოუხატველად ის ტრაგედია, რომელთან შედარებითაც დანტეს ჯოჯოხეთი მესტვირულ სიმღერად მოჩანდა, არ დაკარგულიყო ის დიდი ტანჯვა ან არ დარჩენილიყო მახინჯი სულის ადამიანთა, ჯალათთა შეფასების ამარა. აჩრდილი გიწვევდა, აჩრდილი გაგულიანებდა თუნდ სასტიკი სინამდვილისაგან გარიდებას“.**

მწერალმა მართლაც იძია შური და პირნათელი წარდგა წინაპართა, უპირველესად, მამის წინაშე. ეს არის სწორედ ის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც შურისძიება გამართლებულია, რადგან იგი ჭეშმარიტების დადგენას ემსახურება.

ამერიკელ ლიტერატურათმცოდნეს, თავის საქმეში ტიტულოვან **ვერჯილ ნემოიანუს** კარგად იცნობს „ჩვენი მწერლობის“ მკითხველი. **ლია კუხიანიძე** წერილში — **„ხელეური“** ამერიკელი პროფესორი ქუთაისის უნივერსიტეტში ჩატარებული ლექციის **„ევროპა და ანგლოსფერო“** შთაბეჭდილებებზე გვესაუბრება. მისი აზრით, საგულისხმო იყო ნემოიანუს მიერ ამერიკულ კოლეჯებში შესასწავლი მასალის დომხალის მხილება. ავტორი ამის გამოძახილს ქართულ სინამდვილეშიც ხედავს: **„იგივე დომხალი, ოღონდ სხვა სახელით ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში ახლა იკიდებს ფეხს“.**

**მაია ჯალიაშვილი** წერილით — **„მშვენიერია ხელმეორედ დაბრუნება სამოთხეში“** მიმოიხილავს თანამედროვე გერმანელ მწერალთა სამ საბავშვო წიგნს (ქართულ ენაზე **მაია მირიანაშვილმა** თარგმნა). წერილში წარმოჩენილია, თუ რა სირთულე ახლავს საბავშვო მხატვრული ნაწარმოებების შექმნას, რადგან აქ სიყალბე და ფარისევლობა არავის ეპატიება.

რატომ აღარ ჩანს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ყველასთვის საყვარელი და საქვეყნოდ აღიარებული მსახიობი **ნოდარ მგალობლიშვილი?** ამაზე თვითონვე გვაძლევს პასუხს **ნანა ჭრელაშვილთან** საუბარში.

ჩვენში კარგადაა ცნობილი მამელუქთა ფენომენი. **კონსტანტინე ფერაძე** მოგვითხრობს წარმოშობით ქართველ მამელუქზე, მუსტაფა გურჯზე, რომელიც იყო მეკობრე და თან სახელმწიფო მოღვაწე და რომელმაც ლიბიის ქალაქ ტრიპოლიში სახელგანთქმული მეჩეთი ააგო.

**ივანე ამირხანაშვილი** წერილით — **„ჯანყი საკუთარი თავის წინააღმდეგ“** მკითხველს ფრიდონ ხალვაშის ახალ წიგნის „ომრის“ ღირსებებს აცნობს.

ზემოხსენებულის გარდა, ჟურნალის ამ ნომერში კიდევ ბევრ საინტერესოსა და საგულისხმოს წაიკითხავთ. ესენია: **რუსუდან ბერიძის „მოძრაობა მსურდა“** (უილიამ საროიანის შემოქმედებაზე), **ნინო ვახანიას „მაინც კი ლამაზი არის“** (გამოხმაურებას ვასილ შუკშინის მოთხრობაზე), **ჟაკლინ სირაძის „ხელოვნის გზა“** (ფრაგმენტები ხუთმოქმედებიანი დრამიდან), **გია ხოფერიას „ბუტერბროდი — „წითელი და მწვანე“** (იოსებ იარლანაშვილის მოთხრობებზე), **ეკა ბუჯიაშვილის** რეპორტაჟს დალი ფანჯიკიძის ლექციიდან თარგმანის ხელოვნების შესახებ, **ქეთევან გიორგაძის „ზურმუხტის თვალების სევდა“** (გამოხმაურება კატო ჯავახიშვილის ლექსებზე), **ელე აფხაზავას „ახლა მაინც არ დადგა დრო?“** (გრიბოედოვის მთაწმინდისეულ განსასვენებელზე), **რუბენ დარიოს** ნოველა **„სენიორიტა ამელიას ამბავი“** (ესპანურიდან თარგმნა ელეონორა კუჭავამ). და, რა თქმა უნდა, მოზაიკა — თავშესაქცევად მოთხრობილი სერიოზული ამბები ხელოვნების, ისტორიისა თუ პოლიტიკის სფეროდან.

**ლუკა სალია**

დებიუტი

*გიორგი (გოგა) გოჭორიშვილი ის ახალგაზრდაა, ქართული სიტყვა უზომოდ რომ უყვარს და ამ სიტყვის მსახურება გულით გადაუწყვეტია — წერს ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს... თავისი სათქმელი აქვს და ამ სათქმელს მადლიანად ამბობს.*

*დღეს გოგას დებიუტია ქართულ პერიოდიკაში, კერძოდ, „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ჩვენი სურვილია, ფეხბედნიერი ყოფილიყოს ეს დებიუტი.*

*ვილენ მარდალეიშვილი*



გიორგი გოჭორიშვილი

### ქარი თავნებაა, ქალი — ეულია

ქარი თავნებაა, მარტში ველურია,
რტოთა მწვალებელი, ბრაზებს ჩვეულია,
ქალის თვალებაა, თმებით ხვეულია,
ხელში სანთლებს მიქრობს, ცოდვა შეუძლია.
მხოლოდ ნიავებით, განა მიყვარდები?...
ვგრძნობ, რომ გრიგალებით ფიქრში
იკარგები,
მხოლოდ სიოს ვნატრობ, თხოვნა მეხათრება,
იქნებ ხელით ნახო გულს რა ემართება.
ქარი თავნებაა, ქალი ეულია,
მინდა მოვეფერო ღმერთის რჩეულია,
ქალს ხომ სითბო უნდა, განა ყვავილები?...
თუკი დამანება კოცნით დავიღლები.
შენით ცხოვრებაა მიჯნურთ ნეტარება,
ეს ხომ ცხონებაა ჭკუა მეკარგება,
მხოლოდ ნიავებით, განა მიყვარდები,
ვგრძნობ, რომ ფიალებით ფიქრში
ვიკარგები.
თმებში ჭაღარები უფრო მემატება,
უფრო ძლიერდება შენით მონატრება,
როგორც ლოლუები გრძნობა თუ გელევა,
ვიცი დემონები უფრო მომერევა,
იქნებ, ამ ფოთლებმა ტრფობა მოგვაგონოს?...
იქნებ, ეს ჭადრები ისევ აშრიალდნენ,
იქნებ, გაზაფხული ჩემშიც დაინახო,
ჩემი იმედები დამიდარდიანდნენ,
მე მსურს ბედნიერი კვლავაც დაგინახო,
მხოლოდ სიოს ვნატრობ, თხოვნა მეხათრება,
იქნებ ხელით ნახო, გულს რა ემართება.

### ჩვენი წმინდანი თერთმეტი მეფე

თერთმეტი მეფე — ყველა მზიანი,
კაზმული ცხენით გავაზიანით,
ბრძოლებში ერთად, იმედი ღმერთად,
გაგვთენებია დილა მზიანი.
ყოფილა ომი, ბრძოლებს ვინ მოთვლის,
შენ მუხლზე მდგომი ლოცვით ყოველთვის,
გვწყალობდა ღმერთი, კვლავ ერთადერთი,
გამონათება ცად მზიანეთის,
ვხედავ იდუმალს, ჩვენ რომ ველოდით,
ჩვენი ცოდვებით უფალს ვყვედრობდით,
მე თავს არ მივცემ იმის უფლებას
თაყვანი არ ვცეთ თავისუფლებას.
სხვა უკეთესი, სხვა უნაზესი,
ცა მოლის ფერი, მდელოს ფერია,
ეს მარმარილოდ ნაჭიუხები
ვიცი ღვთისმშობლით უფლის ძღვენია.
სხვა კლდე ნაკვეთი, სხვა მტერს ნაკვეთი,
ვიცი შენსავით ვერ შესძლებია,
იმ მთის ფერდობზე, ქართულ გემოზე,
ძველი ურთხლები დაგვბერებია.

რამდენ ტაძარში მასვი ბადაგი,
რამდენ ციხესთან ძელზე ზარია,
ღვინო დავლიე შენთან მანავში,
შენი კახეთი გულზე ხალია.
ცუდი გვაქვს ბევრი, დემონებს ვდევნი,
ჩვენი ილია ჩვენი ბრალია...
სამების მადლი გულზე ჰფენია,
თერთმეტი მეფე ყველა მზე არის,
კაზმული ცხენით გავაზიანით,
ბრძოლებში ერთად, იმედი ღმერთად,
გაგვთენებია დილა მზიანი,
ყოფილა ომი, ბრძოლებს ვინ მოთვლის,
შენ მუხლზე მდგომი —
ლოცვით ყოველთვის,
გვწყალობდა ღმერთი —
კვლავ ერთადერთი,
დალოცე ნინო ეს მდინარეთი,
ვხედავ იდუმალს, ჩვენ რომ ველოდით,
ვბედავთ, ცოდვებით უფალს ვყვედრობდით,
ჩვენ თავს არ მივცემთ იმის უფლებას —
თაყვანი არ ვცეთ თავისუფლებას!

### ძველი თბილისი

ძველი თბილისი ღია დუქნებით,
მორის ტივები, ქეიფი მტკვარზე,
დუდუკის ხმაზე დილას შევხვდები,
ნიკალა ხატავს არღანის ხმაზე,
ნარიყალაზე ციხის კედლები,
სამების ჯვარი ავლაბრის მთაზე,
ტაძრებში მრევლი და მგალობლები,
ძველი ქართული წარწერა ქვაზე,
ხარფუხის ძირში აბანოები,
მირონი მაცხე ჭაღარა თმაზე,
შენ თბილისელად ვერ ჩაითვლები,
თუკი გაცვალე თბილისი სხვაზე,
გალაკტიონის მერის თვალები,
ტერენტის სული სიკვდილის ზღვარზე,
ლადოს ლექსები, მირზას კალამი,
ჩემგან ნათქვამი შენთვის სალამი,
ნიკალა ხატავს არღანის ხმაზე,
მთაწმინდას დასდევს ჭაღარა თმაზე...
ძველი თბილისი ღია დუქნებით,
მორის ტივები, ქეიფი მტკვარზე,
დუდუკის ხმაზე დილას შევხვდები,
ნიკალა ხატავს არღანის ხმაზე.

### შემოდგომა

ეს შემოდგომა ჩასულ მზესა ჰგავს
ბროწეულებმა ღამეს ახარეს,
ზეცა მოლურჯო იებს დაართავს
და საუკუნოდ თავს შეაყვარებს,
ეს შემოდგომა დოქებს მოაგავს,
ზარაქალებით სოფელს ახარებს,
ნაღვლიანია, ალბათ მე არ მგავს,
ნიავი მიყვარს, თუ შემადარებს.
ეს შემოდგომა აბა სხვა რაა,
თუ არა სხივი ზეცის ლაჟვარდი,
ყანის ნაყოფი ზარაქალაა,
მე სულით ვცხონდი, ისევ გავლაღდი,
ეს შემოდგომა აბა სხვა რაა,
თუ არა ხავსი ქარვით მორთული,
შემოქმედია, ვისთვის ბედია,
ვისთვის ხვედრია — ციდან წვეული,
ეს ზამთრის პირი ყველას მერჩია,
კაკლის ფოთლები მიწას ეყარა,
შემოქმედება შემომეჩვია
და ნოემბერში ზამთარს შემყარა.

ინფორმაცია

## ტიბაანელ პედაგოგებს ძმანაშვილს ნუ დაავარაგრინებთ!

სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის სამუსიკო სკოლის პედაგოგებს უკვე ოთხი თვეა ხელფასები არ მიუღიათ. ამის შესახებ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ იტყობინება.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და სასპორტო სკოლების გაერთიანების ხელმძღვანელი თამილა ძმანაშვილი უხელფასობის მიზეზად საკმარისი თანხების არ არსებობას ასახელებს.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ წარმომადგენელთა განცხადებით, ძმანაშვილი პედაგოგებს შესაბამის ორგანოებში საჩივრის შეტანის შემთხვევაში სკოლიდან გაყრით ემუქრება.

ტიბაანის სამუსიკო სკოლაში მოსწავლეები სიღნაღის მუნიციპალიტეტის ექვსი სოფლიდან სწავლობენ.

ორგანიზაციის ინფორმაციით, სხვა სამუსიკო სკოლებისგან განსხვავებით ტიბაანის სკოლაში დადგენილი მოთხოვნის მიუხედავად მრავალშვილიანი ოჯახების წარმომადგენლებსა და ობოლ ბავშვებს უფასოდ სწავლების საშუალება არ ეძლევათ.

ХО-ЭОВ-ЭНО

**ოლიმპიზმი**

# თბილისს მელაძე უხელმძღვანელებს

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თბილისის ორგანიზაციის ყრილობაზე დელეგატებმა დედაქალაქის ოლიმპიელთა თავკაცად ყოფილი ვიცე-მერი, ამჟამად პარლამენტარი გიორგი მელაძე აირჩიეს, რომელსაც თბილისში სპორტის განვითარებისთვის ძალა და ენერგია არ დაუზოგავს.**

**ძიუდო**

# ბაქოში იასპარეზებენ

**ხვალ და ზეგ აზერბაიჯანის დედაქალაქში ძიუდოისტთა მსოფლიო თასი გათამაშდება. ამ შეჯიბრებაზე საქართველოდან იასპარეზებენ:** ბეთქილ შუკვანი და ამირან პაპინაშვილი (60ძ, ვანო დავითაშვილი და უჩა ხუციშვილი (66ძ, თენგიზ პაპოშვილი და დავით კუპრაშვილი (73ძ, გიგა წიკლაური და ხვიჩა ხუციშვილი (81ძ, გიორგი ეპიტაშვილი (90ძ, დავით ლორიაშვილი და სოსო მსხალაძე (100ძ, ვახტანგ ზოიძე და გიორგი ყიზილაშვილი (მძიმე წონაძ, გულნაზ ხინიკაშვილი (52ძ, ლუიზა ფეკაძე (57ძ, სალომე წიკლაური (70ძ და ირინე ლეონიძე (მძიმე წონაძ.



**აუზი**

შემოდგომის სუსხმა იმატა, მეტწილად დილა-საღამოს იგრძნობა სიცივე, მაგრამ თბილისელთა საყვარელ ოაზისს ხალხმრავლობა არ აკლია – გარიჟრაჟიდან გვიან საღამომდე ფუსფუსებენ აქ სპორტსმენები, ძალას იკრებენ და ორგანიზმს იკაჟებენ დედაქალაქელები, თბილისის სტუმრები. უფრო ახალგაზრდები ჭარბობენ. არც არის გასაკვირი, აქ ხომ 4-დან 15 წლამდე 1250 მოზარდი ეუფლება ცურვას ცისფერ ბილიკებზე, 600-ზე მეტი ახალგაზრდა კი სპორტულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებშია გაერთიანებული.

„ლაგუნა ვერეზე“ მოგახსენებთ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე საწყლოსნო სპორტულ კომპლექსზე, რომელიც სამი ათეული წელიწადია, ხალხის ჯანმრთელობას ემსახურება.

უფროსი თაობის წარმომადგენლებს ემახსოვრებათ ცირკის უკან ის ადგილი, სადაც ახლო წარსულში რესტორანი „არაგვი“ იყო და ამჟამად ფეშენებელური სასტუმრო კომპლექსი შენდება, უწინ იქ „ფიზკულტურელთა პარკს“ სამი საცურაო აუზი ამშვენებდა. გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოს მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მშენებლობამ „ფიზკულტურული პარკი“ შეიწირა. სანაცვლოდ მდინარე ვერეს გადაღმა ახალი საცურაო აუზის მშენებლობა გადაწყდა. სამუშაოებიც დაიწყეს, მაგრამ სამოციანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით მშენებლობა მთელი 13 წლით დააკონსერვეს.



# მომავლისკენ... ცურვით „ლაგუნა ვერეში“

– საკავშირო ხელმძღვანელობა სამ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ობიექტების მშენებლობას კრძალავდა, – მითხრა „ლაგუნა ვერეს“ დირექტორმა, წყალბურთში სპორტის ოსტატმა და საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, საკავშირო ჩემპიონატების მესამე პრიზიორმა ვლადიმერ გოიაშვილმა. – ჩვენი რესპუბლიკის მაშინდელმა თავკაცმა ედუარდ შევარდნაძემ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა და თბილისის ორგანიზაციას ამოცანად დაუსახა, უმოკლეს ვადაში აეშენებინათ აუზები. სამ მილიონზე მეტი თანხა, რაც საწყლოსნო კომპლექსის აგებას დასჭირდა, დაახლოებით ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი, გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის ხარჯებში გაატარეს.

იმ დროს სპორტკომიტეტში განყოფილების გამგე ვიყავი და საწყლოსნო სახეობებს ვხელმძღვანელობდი. რესპუბლიკის სპორტის მესვეურთა გადაწყვეტილებით, მშენებლობის ზედამხედველად დამნიშნეს. უთენია მივდიოდი ობიექტზე და გვიანობამდე აქ ვრჩებოდი. პროექტის ავტორთან – არქიტექტორთა საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრ შოთა ყავლაშვილთან ვათანხმებდი ყოველ დეტალს. მოსახლეობის არნახული ენთუზიაზმი იყო. მშენებლობაში 500-მდე ადამიანი მონაწილეობდა. თბილისის თავკაცი თენგიზ მენთეშაშვილი ყოველდღიურად აკონტროლებდა მშენებლობის ავკარგიანობას. ობიექტის ვადაზე ადრე ჩაბარებაში დიდი წვლილი მიუძღვით სხვადასხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელებს – გურამ გაბუნიას, ბახვა



ლობჟანიძეს, კარლო მეგრელიშვილს, ვიქტორ გოცირიძეს, თამაზ ებრალიძეს, 31-ე ქარხნის დირექტორის მოადგილეს მიხეილ ცხაკაიას, რომელიც ჩვენთან ერთად ათენ-აღამებდა მშენებლობაზე. რასაც მისი ქარხანა ვერ უშვებდა, სხვა ქალაქებიდან ოპერატიულად ჩამოჰქონდა. სწორედ, ამგვარი ურთიერთობისა და თანადგომის შედეგია ის, რომ 1978 წლის 13 ოქტომბერს საწყლოსნო კომპლექსი საზეიმოდ გაიხსნა...

**– მას შემდეგ 30 წელიწადი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში „ლაგუნა ვერე“ რამდენ ადამიანს მოემსახურა?**

– საწყლოსნო კომპლექსის ცისფერ ბილიკებზე მილიონამდე ადამიანმა ისწავლა ცურვა, მთლიანად კი 10 მილიონზე მეტ ადამიანს მოვემსახურეთ. კომპლექსი ქველმოქმედებითაც გამოირჩევა. აუზით სარგებლობისას შეღავათებს ვუწევთ დევნილებს, სამხედრო აკადემიის კურსანტებს, მრავალშვილიან ოჯახებს, დაავადებულ მოზარდებს, რომელთა გამოსაჯანმრთელებლად წყლის პროცედურებია აუცილებელი.

„ლაგუნა ვერეს“ საზრუნავი ყოველთვის იყო წმინდა სპორტული საქმიანობაც. ჩვენი აუზი წლების განმავლობაში საბჭოთა ნაკრები გუნდებისთვის საწვრთნელ ბაზას წარმოადგენდა საერთაშორისო შეჯიბრებების წინ. 12 წელიწადი აქ იმართებოდა საქართველოს ჟურნალისტთა პრიზზე წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირები, აქ ვარჯიშობდა თბილისის „დინამო“, ჩემი ინიციატივით ჩამოყალიბდა წყალბურთელ გოგონათა გუნდი „ივერია“, რომელმაც 1989 წელს ზლატოუსტში საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი მოიგო. ამ აუზში აღიზარდნენ საქვეყნოდ ცნობილი წყალბურთელები – მიხეილ გიორგაძე, ვლადიმერ ისელიძე, რევაზ ჩომახიძე, წყალმხტომელები – მოსკოვის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი ლიანა ცოტაძე, ორგზის ევროპის ჩემპიონი გიორგი ჩოგოვაძე, მსოფლიოს უნივერსიადის გამარჯვებული და საბჭოთა კავშირის პრიზიორი სერგი შალიბაშვილი, ასევე, ნანა ყაზარაშვილი, ნანა ნებიერიძე, სინქრონულად მოცურავე ქრისტინა ფალასანიდი, ნინო მაისურაძე და სხვები. ახლაც კარგი თაობა გვყავს. დარწმუნებული ვარ, ჩვენს აუზში კიდევ გაიზრდებიან სასახელო სპორტსმენები...

სამი ათეული წელიწადი მიილია, რაც „ლაგუნა ვერე“ ხალხისა და სპორტის სამსახურში დგას, ადამიანთა გასაჯანსაღებლად ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს, სახელოვნად განვლილი გზა სწორედ ამის დასტურია. გვჯერა, რომ მომავალშიც ასე იქნება.

**გიორგი გაგუა**

**ინტერნეტიდან**

# მსოფლიო სპორტის მთავარი ავტორიტეტები

**ამ სიის შედგენისთვის, რომელშიც სპორტის სფეროში ყველაზე გავლენიანი 25 კაცი მოხვდა, ამერიკული ჟურნალის Business Week ბოსების თხოვნით მუშაობდნენ 35 კომპანიის ხელმძღვანელები, მასმედიის წარმომადგენლები, მეცნიერები და სპორტსმენებიც კი, მათ შორის სერბი ჩოგბურთელი ელენა იანკოვიჩი.**

სარეიტინგო სიის თავშია საქართველოს დღევანდელი სტუმარი, მსოფლიო ფეხბურთის შტაბის-ფიფას თავკაცი ზეპ ბლატერი. მეორეა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგე, მესამე – „ფორმულა-1“-ის რბოლების პატრონი ბერნი ექლსტოუნი. ამ სიაში შემდეგ მოდიან „ადიდასის“ პრეზიდენტი ჰერბერტ ჰაინერი (გერმანიაძ და ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი. მეექვსე ადგილზე საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ მფლობელი რომან აბრამოვიჩია. ამ ელიტარულ რეიტინგში შემდეგ არიან კრიშტიანუ რონალდუ, მიშელ პლატინი (უეფას პრეზიდენტიძ, როჟე ფედერერი, აგრეთვე „მილანის“ პრეზიდენტი და იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი (11ძ „ფორმულა-1“-ის პოლიტი ლუის ჰემილტონი (12ძ, მიხეილ შუმახერი (15ძ, ჟოზე მოურინიუ – „ინტერის“ მწვრთნელი (24ძ, 25-კაციან სიას ამთავრებს მარია შარაპოვა.




აღსანიშნავია, რომ ამ საკმაოდ მოზრდილ სიაში არაა აშშ-ს არცერთი წარმომადგენელი, თუმცა მათ თავიანთი 100-კაციანი რეიტინგი ჰქონდათ, რომელსაც გოლფისტი ტაიგერ ვუდსი მეთაურობდა.

# ისინბაევა თხოვდება



**ვინც პეკინის ოლიმპიურ თამაშებს გულმოდგინედ ადევნებდა თვალს, ალბათ ახსოვს, მას შემდეგ, რაც ჭოკით მხტომელმა ელენა ისინბაევამ ტრიუმფალური ნახტომი გააკეთა, და 5,05-მეტრიანი სიმაღლე დასძლია, ტელეკამერების წინ დაიყვირა „არტემ! მე შენ მიყვარხარ!“ რითაც მამაკაცთა დიდი ნაწილი შეაშფოთა, – ვინაა ის ბედნიერი, ელენას გული რომ მოინადირაო.**

ამ დღეებში ელენამ თავისი არტემი ვოლგოგრადში ჩაიყვანა და თავის მშობლებს გააცნო. ჯერჯერობით ისინბაევას რჩეულზე ცოტა რამაა ცნობილი – ის დონეცკიდანაა, ელენეზე ცოტა პატარაა, სპორტთან არავითარი კავშირი არა აქვს. ის დიჯეი ყოფილა.

ჯერჯერობით შეყვარებულები სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობენ: ისიმბაევა – იტალიურ ფორმიოში, არტემი – უკრაინულ დონეცკში. ელენე უკრაინაში გადასვლას არ აპირებს, ალბათ არტემს იტალიაში წავიყვანო, – ამბობს სახელოვანი სპორტსმენი.

მშობლიურ ვოლგოგრადში ლენამ პეკინის ოლიმპიადის მეორე გმირთან – მაქსიმ ოპალევთან ერთად ცენტრალურ სანაპიროზე ოლიმპიური ჩემპიონების ხეივანი გახსნა.

# მკერდი განზრახ მოიშიშვლა?!

**პარაგვაელი შუბისმტყორცნელი ქალი ლერონ ფრანკო პეკინში სექს-სიმბოლოდ აღიარეს, თუმცა ახლა ის ყურადღებას იზიდავს არა როგორც სპორტსმენი, არამედ როგორც მოდელი. ამისთვის მან, პოდიუმისკენ რომ მიდიოდა, მკერდი მოიშიშვლა.**

მოდების ერთ-ერთ ჩვენებაზე ლერონი ძალზე „ღიად“ იყო ჩაცმული. ხოლო ფეხი რომ დაუცურდა, თითქმის ყველა შეკრებილი, რასაკვირველია, პირველ რიგში მამაკაცები, მის შიშველ მკერდს მიშტერებოდა. არავინ იცის, ეს შემთხვევით მოხდა, თუ საგანგებოდ. თუმცა ამ ინციდენტის გამო ლამაზმანს წარბიც არ შეუხრია, ისე განაგრძო გზა პოდიუმისკენ. პარაგვაის ექს-ლამაზმანმა ჩინეთში წარმატება სპორტში კი არა, თავისი სილამაზით მოიპოვა, თანაც დიდი ხმაური გამოიწვია თითქოსდა მისმა რომანმა ნოვაკ ჯოკოვიჩთან.



ჯანმრთელობა

# აბი ვარჯიშის ნაცვლად

## დღეს ობლომოვს შეეძლო მარათონელი გამხდარიყო დივანიდან წამოუდგომლად

**ამერიკელებმა შეიმუშავეს აბები, რომლებიც თაგვებს დუნედ, უძრავად რომ ცხოვრობენ, გამძლე და სპორტულ ცხოველებად აქცევენ. ეს ხუმრობა არ გეგონოთ.**



### თაგვები „ბორბლებზე“

გამოკვლევის შედეგები გამოქვეყნდა ავტორიტეტულ ჟურნალ „კელში“ („უჯრედი“ძ, თავად მეცნიერები კი მუშაობენ მეტად პატივსაცემ კალიფორნიის სოლკოვის ინსტიტუტში. მათ ერთმანეთს შეადარეს თაგვების ორი ჯგუფი. პირველებს ერთი თვის განმავლობაში დაჟინებით აპარჯიშებდნენ, არბენინებდნენ, როგორც ციყვებს, ბორბლებში, მეორეებს ამ დროს იცავდნენ ზედმეტი გადატვირთვისაგან, აძლევდნენ პრეპარატს კოდური სახელწოდებით „აიკარი“. წამალი ჯერ რეგისტრირებული არ არის და ჯერჯერობით მათ ცხოველებზე ცდიან.

ვფიქრობთ, რომ ახლა ბევრს შურს ამ ცხოველებისა: მხოლოდ აბების წყალობით თაგვებმა ერთი თვის შემდეგ შესანიშნავად გაიუმჯობესეს თავიანთი სპორტული ფორმა – დაიწყეს სირბილი 23 პროცენტით უფრო ხანგრძლივად და დისტანციას გარბოდნენ 44 პროცენტით შორს. ეს შედეგი უფრო უკეთესი იყო, ვიდრე იმ თაგვებისა, რომლებიც ვარჯიშობდნენ ბორბლებში.

შეიძლება კი ასეთი რამე? სპორტული, მოწესრიგებული ფიგურა მძიმე და დამქანცავი დატვირთვის, ოფლისა და კუნთების გარეშე? აი, ასე უბრალოდ, ტელევიზორის წინ ანდა სულაც დივანში წიგნით ხელში ჯდომის დროს? თურმე, შეიძლება! გამოკვლევამ დაადასტურა, რომ თაგვების კუნთები გარდაიქმნენ ან, როგორც მეცნიერები ამბობენ, გადაპროგრამირდნენ, როგორც სერიოზული ვარჯიშის შემდეგ. ამან თავისი კვალი გენებზეც კი დატოვა, რომლებიც აწესრიგებენ ნივთიერებათა ცვლას მოქმედ კუნთებში. შეიძლება ითქვას, რომ გენეტიკურად ეს თაგვები დაემსგავსნენ მორბენლებს გრძელ დისტანციებზე, ველოსიპედისტებსა და სხვა ათლეტებს, რომლებიც მისდევენ სპორტის სხვადასხვა სახეობებს და რომლებიც მოითხოვენ განსაკუთრებულ გამძლეობას. როგორ უნდა ავხსნათ ეს?

### აერობიკა უფლოდ

კუნთები შედგება ორი ტიპის ბოჭკოსაგან, რომლებშიც ნივთიერებათა ცვლა სხვადასხვანაირადაა აგებული. პირველი ტიპის ბოჭოკოები, მათ წითელ კუნთოვან ბოჭკოებსაც უწოდებენ, უფრო სუსტები არიან, მაგრამ უფრო გამძლეები, ნაკლებად იღლებიან დატვირთვის დროს. ენერგიას ისინი ღებულობენ ჟანგბადის წყალობით, ჰაერისაგან რომ ითვისებენ და ამიტომ კუნთებში ნივთიერებათა ასეთ ცვლას უწოდებენ აერობულს (ჰაეროვანსძ. გაიხსენეთ აერობიკა, რომელიც ჯეინ ფონდამ გამოიგონა – ვარჯიშების ეს სისტემა მიზნად ისახავს სწორედ ამ ბოჭკოების ვარჯიშს. თეთრი კუნთოვანი ბოჭკოები (მეორე ტიპისაძ უფრო ძლიერები და ნაკლებად გამძლეები არიან, ისინი კისრულობენ სწრაფ, მაგრამ ხანმოკლე მოძრაობას, რაც მოითხოვს ნახტომისეულ ძალისხმევას. ამისათვის ისინი ენერგიას იღებენ გლუკოზისაგან, ჟანგბადის მონაწილეობის გარეშე.

„ფიზიკური ვარჯიშების დროს ხდება კუნთოვანი ბოჭკოების გადაპროგრამების პროცესი, – განმარტავენ სპეციალისტები. – მათი სულ უფრო მეტი ოდენობა იწყებს ნივთიერებათა აერობულ ცვლაზე გადასვლას. ირთვება მოვლენათა მთელი ჯაჭვი, რომელიც ნივთიერებათა ასეთ ცვლაში ახდენს გენების მუშაობის გადაპროგრამებას. ბოჭკოებში იზრდება მიტოქონდრების ოდენობა. ესაა ქსოვილებში ენერგეტიკული სადგურები, რომლებშიც გამომუშავდება ენერგია. ეს ყველაფერი ზრდის ორგანიზმის გამძლეობას. გამოკვლევაში ნაჩვენები იყო, რომ „აიკარი“ იწვევს ასეთსავე ცვლილებებს ფიზიკური დატვირთვის გარეშეც კი. ის ახდენს კუნთის ბოჭკოების გადაპროგრამებას, და ისინი იძენენ გამძლეობას ისევე, როგორც ვარჯიშების შემდეგ.

ახალი აღმოჩენა დააინტერესებს არა მხოლოდ ზარმაცებსა და სპორტსმენებს, რომლებიც ოცნებობენ დოპინგზე. ასეთი პრეპარატები შეიძლება მეტად სასარგებლო იყოს სხვადასხვა დაავადებათა დროსაც. მაგალითად, ისინი ქონის პოტენციური დამწველები არიან და შეიძლება გამოყენებული იქნენ სიმსუქნის პროფილაქტიკისათვის. ნივთიერებათა ცვლის ასეთი გარდაქმნა მეტად სასარგებლოა შაქრის დიაბეტის დროს. ასეთი წამალი მეტად მნიშვნელოვანია შეზღუდული მოძრაობის ავადმყოფებისთვის – მიოპატიის, კუნთის სიბერის ატროფიის, დამბლის, ნახევრად დამბლის დროს.

„Аргументы и факты“

არდავიწყება

# მირიან დეკანოზიშვილი –

## კაცი, რომელიც დააკლდა სოფელს



კიდევ ერთი კარგი მშრომელი ქართველი ადამიანი – მირიან დეკანოზიშვილი წავიდა ამ გაუტანელი წუთისოფლიდან. ამქვეყნად არსებობის თავისი 80 წლიდან მან თითქმის 70 წელიწადი მიწასთან ჭიდილში გაატარა – კალოს ხარივით ტრიალებდა და სადაც ბარი დაჰკრა, ყველგან ვენახი ახარა, ყანა აალაღანა, ხეხილი ააშრიალა. ის ჭეშმარიტად ერთ-ერთი ის მაშვრალი ქართველი გლეხკაცი იყო, ვისმა ალალმა მარჯვენამაც ავად თუ კარგად დღემდე მოიტანა ქართული სოფელი და დღესაც, ამ განუკითხაობის ჟამსაც, დიახაც ის ასულდგმულებს ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას. ამიტომაც არის, რომ მირიან დეკანოზიშვილისთანა კაცები თავიანთი სიკვდილით არა მარტო ოჯახსა და ახლობლებს, არამედ საერთოდ სოფელსაც აკლდებიან.

მირიან დეკანოზიშვილი 1928 წელს კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში დაიბადა, დიდი ივანე ჯავახიშვილის სამოსახლოს მეზობლად და მთელი ცხოვრება აკი ამაყობდა კიდეც ამ იშვიათი მეზობლობით, მუდამ წმინდად ინახავდა ამ წმინდანი ქართველის ნათელ სახელს... ისე მოხდა, რომ საბოლოო კერა მან სოფელ ზემო ხანდაკში გაიჩინა და თავისავით გამრჯელ, შრომისმოყვარე, ანუ, როგორც აქ იტყვიან, ბაბაგალ მეუღლესთან ერთად ბევრისთვის მისაბაძი და შესანატრი, მართლაც საუკეთესო ოჯახი შექმნა, პატიოსნებით, ბარაქა-დოვლათით, სტუმართმოყვარეობით გამორჩეული.

ერთი სიტყვით, მირიან დეკანოზიშვილი, როგორც სიკვდილის შვილი, მუდამ სიცოცხლის ტრფიალი კაცი იყო, კაცურ კაცობაში არც არასოდეს არ ჩაჭრილა და, ერთი კარგი პოეტის თქმისა არ იყოს, ზოგი თუ თავის ქალაქს აკლდება, ის ნამდვილად დააკლდა თავის სოფელს, სადაც ისეთი მონაგარი დატოვა, რომელიც კვლავაც აცოცხლებს დეკანოზიშვილთა ფუძის ანგელოზს და არასოდეს არ მოშლის ზემო ხანდაკში ღირსეულ კომლობას.

**გურამ გოგიაშვილი**

მეუღლე ელენე (ლენაძ გოგიაშვილი, შვილები მარინე, თამარი, შვილიშვილები პაატა, ლელა გუდაძეები, რძალი ლალი ზამუკაშვილი, სიძე ვანო თეთრაძე, შვილთაშვილი ქეთევან თეთრაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მირიან ნიკოლოზის ძე დეკანოზიშვილი

გამოსვენება კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში, შაბათს, 11 X, 14 სთ.

საქმე 2/283

## განჩინება

### საქართველოს სახელით

03 ოქტომბერი 2008 წელი ქ. გურჯაანი

**გურჯაანის რაიონული სასამართლო**
**მოსამართლე – შალვა მჭედლიშვილი**

**მოსარჩელე – შპს „საქართველოს რკინიგზა“**
**მოპასუხე – შპს „მუკუზანი“, დირექტორი ივანე ახოიშვილი**
**დავის საგანი – ვაგონების მოცდენით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება**

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

გურჯაანის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე შპს „საქართველოს რკინიგზის“ სარჩელისა გამო, მოპასუხე შპს „მუკუზანის“ დირექტორის ივანე ახოიშვილის მიმართ, ვაგონების მოცდენით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მოპასუხე მხარეს გაეგზავნა სარჩელი, მაგრამ ვერ ბარდება მოპასუხის საცხოვრებელ მისამართზე არყოფნის გამო.

სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის განხილვის დაჩქარების მიზნით, საქართველოს სსკ-ის 78-ე მუხლის თანახმად, სასამართლო სხდომისა და საათის შესახებ, სასამართლო შეტყობინება უნდა გავრცელდეს საჯაროდ – გაზეთის საშუალებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 78-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მოპასუხე შპს „მუკუზანის“ დირექტორს ივანე ახოიშვილს (მის: გურჯაანის რაიონი, სოფელი მუკუზანი) ეცნობოს, რომ გურჯაანის რაიონულ სასამართლოში 2008 წლის 24 ოქტომბერს 12 საათზე იხილება სამოქალაქო საქმე შპს „საქართველოს რკინიგზის“ სარჩელი, მოპასუხე შპს „მუკუზანის“ დირექტორის – ივანე ახოიშვილის მიმართ.
2. საჯარო შეტყობინება გავრცელდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

**მოსამართლე: შალვა მჭედლიშვილი**

## განცხადება

**სს „ელმავალმშენებლის“ აქციონერებს გაცნობებთ, რომ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 1[1] პუნქტის და სს „ელმავალმშენებლის“ წესდების მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად სს „ელმავალმშენებლის“ აქციათა 87 პროცენტის მფლობელი კომპანია „DEMA COMPUTERS LIMITED“-ის დირექტორმა ოლეგ გიორგის ძე ზირიანოვმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:**

საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნას ახალი სამეწარმეო იურიდიული პირი – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მუშა-მოსამსახურეთა სერვისცენტრი – თემქა“;

სასადილოზე რიცხული ძირითადი საშუალებები და სხვა სამეურნეო ინვენტარი, გადაცემულ იქნას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების იურიდიული პირის („მუშა-მოსამსახურეთა სერვისცენტრი – თემქა“ძ საწესდებო კაპიტალში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „მუშა-მოსამსახურეთა სერვისცენტრი – თემქას“ ერთადერთი დამფუძნებლის, სს „ელმავალმშენებლის“ წილი საწესდებო კაპიტალში შეადგენს 100 პროცენტს.

რეგისტრაციის ადგილი (იურიდიული ადგილიძ: 0141, საქართველო, ქ.თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ.№ 84.

**სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭო**

## განცხადება

### აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებით

**შპს „რუს-ცემენტის“ გაკოტრების მმართველი დათუნა გიგინეიშვილი, გაკოტრების კანონის 38-ე მუხლის საფუძველზე, აცხადებს შპს „რუს-ცემენტის“ სამეურვეო ქონების აუქციონს, 2008 წლის 9 ნოემბერს, შემდეგ მისამართზე: ქ.სამტრედია, გრიბოედოვის ქ.№ 55 ა.**

**ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს გაკოტრების მმართველი დათუნა გიგინეიშვილი. ტელ: 8 (99ძ28 62 29.**

ინფორმაცია

## დააკავეს თაღლითი პოლიციელი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა თაღლითობის ფაქტზე პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ჯუმბერ ბესტაშვილი და მარნეულის დაცვის პოლიციის თანამშრომელი გოშარ ჩაილიევი დააკავეს.**

**როგორც შსს-ს პრესსამსახური იუწყება, აღნიშნულმა პირებმა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მუქარით, მოქალაქეს თაღლითურად გამოსძალეს ფულადი თანხა 300 აშშ დოლარის ოდენობით.**

**ფაქტთან დაკავშირებით, მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის.**

**ინტერპრესნიუსი**



რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

წუთისოფელი

# ლექსმადლიანი



დღეს პოეტ ლაშა გახარიას დაბადების დღეა, სამოცდაერთისა გახდებოდა... შარშან, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურში, გახარიების ულამაზეს ოდაბადეში, სწორედ ამ დღეს, ლაშას პოეზიის დღესასწაული დავაფუძნეთ. შარშან უფრო მშვიდობიანი შემოდგომა იყო საქართველოში, ამიტომაც მუხურში ჩასვლა არავის გაგვჭირვებია. წლეულს ჩხოროწყუს ველ-მინდვრებში, მათ შორის მუხურთანაც რუსი მოძალადე „მშვიდობისმყოფელები“ იდგნენ და ნერვებს უწეწავდნენ ადგილობრივებს... დღეს ლაშას საფლავზე (საბურთალოს საძვალეშიძ მივალთ მისი მეგობრები და კიდევ ერთხელ პატივს მივაგებთ ამ ლექსმადლიან კაცს – ობლის ცრემლივით ცამდე მართალს, მხატვრულ სახეთა დიდოსტატს, თანამედროვე ქართული პოეზიის მშვენებას.

ამ დღეებში პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებიდან 90 წელიწადი აღინიშნება... ნიშანდობლივია, რომ „ვარდების ხელისუფლებისგან“ უმოწყალოდ „ჩარეცხილ“ უნივერსიტეტელებს ლაშას უმშვენიერეს ლექსს შევახსენებთ...

სპარტაკ ქოზულია

# უნივერსიტეტს

## ვუძღვნი თანაკურსელებს

*როგორ ბრძანდებით, თეთრო ბატონო,
ჩემო მეუფევ, როგორ ბრძანდებით,
ისევ ქართული სჯულით გვართმობ
თუ ულელ-მელელთ უძიძავდები.*

*ხომ არ დაგიშრა ძუძუ – რძიანი
და აგიხავდა ნუკრი – მშიერი...
ხომ მხნედა მყავხარ ხელცარციანი,
ძუდბედასავით სვებედნიერი?!*

*ფაზისს ვერ ვწვდები,
ვერც შორ მონათ დროს...
შენებრ არც გენათს უძათძათია!
მოწაფე, სადაც უნდა მონათლონ,
შენ შემოგნატრის –
მოძღვარ-ნათლიად.*

*ვწუხვარ, რომ ხელზე ვერ გემსახურე,
ხმელზე გავცურე – უტევ სრუტეთი...
ეს რა მირონი გადმომასხურე –
ცალფეხსაფლავაც რომ ვარ სტუდენტი!*

*შენ შემიწამლე ლერწი პწკარები,
ცაც გადამისვი – დედის ხელივით
და სტამბა-სტამბა დავწანწკარებდი –
„პირველი სხივით“ ლექსგამხელილი.*

*აქ დავეწყურე საბაქართულს და
მუზაც ვიულე – ნიას იებით.*

*რა კარგი იყო თავგაპარსულთა
ჰოპლა! – მესამესემესტრიები!...*

*არ ვილეღავდი პერანგს ჭიპამდი,
მხარზე გკოცნიდი მორდუს – მორდილი;
თუმნიან ლენინს რომ მიჯიბავდი –
იმ სტიპენდიით ვარ გამოზრდილი.*

*ვერც სტუდქალაქის მადლს დაგივიწყებ:
უფასოდ მეგო თბილი ლოგინი;
შენი ჭადრების ფოთლები მეწყო
თავქვეშ – იმ დიდი ფილოლოგივით.*

*ისევ შენს ბაღში ვზივარ,მშიერი –
შენი ნისია-კაფეს შემყურე...
იმ ვაჟას სულის სულნაშიერი –
გულისკოვზით რომ აცაზეპურე!...*

*შენ მარიდებდი ეკალს და ჭინჭარს,
შიშივით მხდიდი დღეებს – ნისლიანს.
სამოცდაშვიდში, სოფლელმა ბიჭმა,
აქ შემოვაღე კარი – ნისიად...*

*ვალი ვერც ლექსით გადამიხდია –
საბას „ძღვენს“ ურცხვად გადავემალე!...
ხომ არ დაგღალე, ჩემო ბიბლიავ,
ჩემი საფლავის ქვამდე მევალევ.*

ლაშა გახარია

IQ

გონების სავარჯიშო – ყმაწვილთათვის და არა ოდენ მათთვის

# მარჯვე ბიჭო ნიკო, შეიმოწმე ინკო*!

### ტესტი 10 (ბოლოძ

1. რამდენ ქართულ ოთხასოიან სიტყვას გაიხსენებთ ისეთს, რომლის მეორე მარცვალი არის „რი“?
2. როგორ წრეს ჩახატავთ ცარიელ უჯრედში?



3. ფიგურის უჯრედებში ასოები ისე ჩაწერეთ, რომ გამოვიდეს დიდი კომპოზიტორი და მისი სახელგანთქმული ოპერა.




4. ეს ანაგრამა გაშიფრეთ ერთ სიტყვად.
ედი ბატი
5. ამოწერეთ შვიდი ოთხასოიანი ქართული სიტყვა, რომელთა პირველი მარცვალი იქნება „რი“.
6. ამ მარცვლებიდან ოთხი შეარჩიეთ ისე, რომ მიიღოთ სტიქიური მოვლენა.
რიშ, ლი, სე, ხა, გრი, ქა
7. რიცხვთა რომელი სამეულით შეავსებთ ცარიელ სამკუთხედს?




8. ცხოველთა ამ ხუთეულში რომელია „თამაშგარე“?
ბეჰემოთი, კენგურუ, ლომი, მარტორქა, ჟირაფი.
9. მოიფიქრეთ ორმარცვლიანი ქართული ზმნა, სადაც მიჯრით გვხვდება ექვსი თანხმოვანი.
10. ცარიელი სექტორები ასოებით ისე შეავსეთ, რომ ერთ შემთხვევაში საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით, მეორე შემთხვევაში საწინააღმდეგოთი გამოვიდეს შინაარსობრივად „საპირისპირო“ სიტყვები.



### ტესტი 9-ის პასუხები

1. ნაყინი, სინი, ტვინი, შალაშინი.
2. ვხედავთ, რომ 1-ის მოპირდაპირე სექტორში ჩაწერილია მისი კვადრატი 1; 3-ის პირდაპირ ზის 3-ის კვადრატი 9; 4-ის პირდაპირ გვაქვს მისი კვადრატი 16; ამიტომ 5-ის მოპირდაპირე სექტორში ჩაჯდება 25.
3. რიგის მეორე რიცხვი მიღებულია პირველ რიცხვში კენტ ადგილებზე (პირველზე, მესამეზე, მეხუთეზე და ასე შემდეგძ მდგომი ციფრების ამოწერით; მეორე რიცხვიდან ასევე კენტი ადგილების (პირველი, მესამე, მეხუთე, მეშვიდეძ დამკავებელი ციფრების ამოკრეფით მიიღება რიგის მესამე რიცხვი; ამ მესამიდან პირველი და მესამე ციფრების ამოწერა მოგვცემს რიცხვს 15.
4. შორაპანი
5. პირველ წრეში (12+5ძ + (7+9ძ = 33 (ანუ მოპირდაპირე სექტორებში ჩაწერილი რიცხვების ჯამების შეკრება მოგვცემს ცენტრში მოთავსებულ რიცხვს 33ძ; ასევე (8+3ძ + (2+10ძ = 23; ანალოგიით მესამე წრეში მივიღებთ რიცხვს, რომელიც ჩაიწერება ამ წრის ცენტრში: (4+1ძ + (2+6ძ = 13.
6. პაწაწინა
7. დედამიწა
8. არამზადა, ნაძირალა
9. ათი (ამანათი, ბარათი, კაკანათი, კალათი, ლიმონათი, მასლაათი, საათი, ფაღარათიძ.
10. ვერდი, აიდა.

* ინკო – ინტელექტის კოეფიციენტი.

კადრი



ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ.
ფაქსი: 98-65-87.

ანეკდოტები

აფთიაქში:
– თუ შეიძლება, ნახევარი ლიტრი სპირტი მომეცით!
– მერე, რეცეპტი გაქვთ?
– რასაკვირველია, ერთი კილო შაქარი, ნახევარი კილო ჭარხალი და ასი გრამი საფუარი, – არაჩვეულებრივი სასმელი გამოდის.

* * *

სიბერეა, როცა შიშველი ქალის დანახვისას წნევის გარდა არაფერი გეზრდებათ.

* * *



აფთიაქარი ეკითხება თავის ახლობელს:
– წინა კვირაში შენი ცოლისთვის სამკურნალო ტალახი რომ მოგეცი, გამოუკეთდა გარეგნობა?
– იცი რა, მხოლოდ ორ დღეს უშველა, შემდეგ კი ჩამოსცვივდა.

* * *

ოფიციანტს მომხმარებელთან ბიფშტექსი მოაქვს, ის თეფშზე თითებით უჭირავს, გაოცებული მომხმარებელი ეუბნება:
– არ შეიძლება, თითები მოაშოროთ ჩემს ბიფშტექსს?
– რა, გინდათ, რომ მესამედ დამივარდეს?

* * *

ქალიშვილი ჭაბუკს:
– შენ ერთი ნახვით შეგიყვარდი, თუ ცოტა კიდევ აგიარ-ჩაგიარო?

* * *

განცხადება:
ვინც იპოვა ჩემი ბინის გასაღები, სიდედრს რომ ჰქონდა, გთხოვთ, არ დაუბრუნოთ!

* * *

ასეც ხდება: უყურებ უფროსს სახეში და ფიქრობ, ისე როგორ შეაფურთხო სიფათში, რომ არ ეწყინოს.

* * *

პოლიკლინიკაში:
– ექიმო, მიშველეთ, დიდი პრობლემა მაქვს – როცა მძინავს, ძალზე ხმამაღლა ვხვრინავ.
– მერე, ეს შენ ხელს გიშლის?
– არა!
– შენ ცოლს?
– უცოლო ვარ.
– თქვენს მეზობლებს?
– მეზობლები შორს ცხოვრობენ.
– მაშინ, რაშია საქმე?
– ამისთვის უკვე მეხუთე სამსახურიდან გამომაგდეს!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.